

ნაშრომი

2

ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე (წერილი მ. ჯანაშვილისა). — საგურამოში: ო-დ ილია გრ. ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები (წერილი არტურ ლეისტისა). — საქართველოს მწერლობის და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მოკლე განხილვა (წერილი ოქსფორდის უნივერს. პროფ. მორტილისა). — ურბნისის სახარება ტიშენდორფისეულ მეოთხე საუკ. სახარებასთან შედარებით. მ. ჯანაშვილისა.

თ ფ ი ლ ი ს ი

ელექტრონითმშექდავი ამს. „შრომა“, შიხეილის 3რ., № 65.
1907

ილია ერივოლისმე ჭავჭავაძე

1. ილია დაიბადა 27 ოკტ. 1837 წ.-კახეთის სოფ. ყვარელში. ყვარელი განთქმულია არა მარტო საუკეთესო კახურით, არამედ სხვა და სხვა შემთხვევითაც. წმ. ნინო თავის ძლევა-მოსილ ქადაგებით რომ გამოემგზავრა კახეთის მოსაქცევად, ყვარლელებმა გამოიჩინეს ხასიათის სიმტკიცე, მშობლიურ ღმერთების სიყვარული, წმ. ნინოს ქადაგება არ შეიწყნარეს, მას-თან მოყოლილ მეფის მოხელე ერისთავის ძალმომრეობას არ დაემორჩილნენ, აიყარნენ და კავკასიონის მთებში შეიმალნენ. იგინი მოაქცია მხოლოდ თრდატ მეფემ (V ს.) და ზოგიც აბი-ბის ნეკრესელმა (VI ს.): ყვარლელებმა დიდი სიმედგრე გამო-იჩინეს შემდეგშიაც. მათი ციხე კახეთის დამონებას მოასწავებ-და. ილია სულ 16 წლის ჭაბუკი იყო, რომ „მთის არწივმა“ შამილმა აიკლო წინანდალი და ყვარელს კი შებრძოლება ვერ გაუბედა.

ყვარელის მეთაურებად უკანასკნელ 3 — 4 საუკ. განმავლო-ბაში სულ მუდამ იყვნენ თავადი ჭავჭავაძეები. საქართველოს თა-ვად-აზნაურობის ბლომა ნაწილი უცხოეთიდამ შემოხიზულა სა-ქართველოში (ზაგრატიონები ურიასტანიდამ, წერეთლები ლეკე-თიდამ, მიქელაძეები საბერძნეთიდამ და სხ.), ხოლო ჭავჭავა-ძეები ეკუთვნიან ქართველ გვარ-ტომ—თესლს. ამათგან გამო-დიოდნენ ჩინებული სარდლები, ჩინებული მწერლები და, წარ-მოიდგინეთ, ჩინებული მეურნეებიც, მეტადრე—მევენახეები. საქართველოში მევენახეობა არსად ისე არ განვითარებულა, ვით განვითარდა. ყვარელში ჭავჭავაძეების ხელმძღვანელობით.

თვით ილია დიდი მოტრფიალე იყო მეურნეობისა, ბევრჯელ უსაუბრია მას ვაზის გასხლვა-შეყელვა-გაფურჩქნა-გალამაზების შესახებ და დიდის ქებით აუწერია ქართველების მიერ შეძენილი ხელოვნება მევენახეობისა და ლინის დაყენებისა. მისი საგურამოს მამული ხომ შემკული იყო თვით მისივე მზრუნველობითა და მომჭირნეობით.

ილიას მამა გრიგოლ პატასძე დროის შესაფერად განათლებული კაცი იყო და საკმაოდ შეძლებული. სათნოიანი ადამიანი იყო მისი დედაც, ტფილისელ ბებურიშვილის ასული.

პირველდაწყებითი სწავლა ილიამ მიიღო თავის შშობლების სახლობაში. ანაბანას მაშინ — ხისა და ქვის დაფის მაგიერ — ასწავლიდნენ ხარის ბეჭიზე. „ბეჭაობა“ რომ დაასრულა ილიამ, ხელში მისცეს შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება — „ვეფხის ტყაოსანი“. ეს წიგნი მაშინ მეორე სახარებად ითვლებოდა და არ იყო საქართველოში სახლი, მეტადრე თავადიშვილისა, რომ მთელი „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად არ სცოდნდათ. კაი პატარძლად ის ქალი ითვლებოდა, რომელსაც მზითევში მიჰყვებოდა რუსთაველის ქმნილება. ერთობა, ერთგულობა, თანასწორობა, პირობისა და ფიცის გაუტეხლობა, თავისუფლება, სიყვარულის სიწმინდე, მამულისა, სარწმუნოებისა და ენისთვის თავდადება და თავგანწირვა, — აი საგანი, რომელსაც დაჰვალობს შოთა და რომლითაც ჰხიბლავს ყოველის წოდებისა და ყოველის წრის კაცს: — მეომარს, საჩდალს, გლეხს, თავადს, ქალსა და ვაჟს, ქმარსა და ცოლს, შეილსა და მამას. ილიას მამის სახლობაშიაც აგრე-იყო, აქაც ყველამ იცოდა „ვეფხის ტყაოსანი“ და, წამოიზარდა-რა პატარა ილიკო, მასაც შეასწავლეს ეს წმინდა წიგნი, და შეასწავლეს ვინ? — სასახლის ქალებმა. ამ დროს დიდის ტრფიალებით იგონებდა ხოლმე ილია გრიგოლისძე სარედაქტოი კრებებზე. ანუ თავისს შინაურ წვეულებებზე. საფიქრებელია, რუსთაველის უკვდავი ნასიბრძნი ღრმად ჩაეჭდევოდა ილიას ჯერ ისევ ნორჩ გულში. ეს ასეც იყო: მისი თვით ახალგაზდობის

დროინდელი თხზულებები რუსთაველის ნასიბრძნ-ნაკვესებით
არის შემცული.

მალე ილია შეიქმნა სასკოლო ჰასაკისა. მაშინ საქართვე-
ლო ვერ დაიკვეხებდა სკოლა-სასწავლებელთა სიმრავლით. ერ-
თი, ორი და გათავდა. მაშინდელი თავადი შვილობა ეტანებო-
და უფრო ტფილისის „საკეთილშობილო სასწავლებელს“ (აწინ-
დელ 1-ლ გემნაზიას). თავად-აზნაურობის უმეტესობის სა-
ტრფიალო საგანი იყო სამხედრო სამსახური, „ჩინებით მხრე-
ბის „დამშვენება“. უპირატესობა სამსახურში ეძლეოდა იმათ,
რომელთაც „საკეთილშობილოთა“ სასწავლებელში ესწავლათ
და რუსულ ენას ამტვრევდენ. არა სჩანს, რა ედოთ გულში
ილიას მშობლებს, რომ ტფილისისკენ ისტუმრებდენ თავისს
შვილს, მისი მხედრად „გამოყვანა“ სურდათ, სამოქალაქო
სამსახურის კაცად, თუ საზოგადო მოლვაწედ.

სასწავლებელში წასაყვანად რომ მომზადეს, დედამ დაა-
რიგა თავისი ჰაწია ილიკო, დალოცა და გამოისტუმრა. მოსა-
ლოდნელია, რომ თვით დედის დარიგების გამოძახილი იყოს
შემდეგი ღვარიური ხმები, აღმოხეთქილი ჭაბუკ ილიას ნორჩ
გულიდამ 1859 წელს:

„რაზედ შეჰქრთი, მტირალნი რისთვის მომაპყარ თვალ-
ნი? ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი, მინამ დრო მოგესწრება, ის-
წრაფე, შვილო“, იბეკითე, ისწავლე, „მოვა ლრო, გაიზრდე-
ბი, მკლავი გაგიმაგრდება, შვილო, ჰნახავ ჩვენ ბედშაბას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს, ჩვენსა წამხდარს გმირობას და მა-
მულს დაობლებულს.. აინთე ცეცხლით გული, მტერსა დაე-
ცი მეხად, ან, ვით შვილი ერთგული, დაკვდი მამულს მსხვერ-
პლად! არ შემიღრკე მაშენა!. დედათა გული ჩჩვილი მამუ-
ლისთვის მაგრდება, რად მინდა იგი შვილი, თუ მისთვის არ
მოკვდება! ვისაც ძე არ შეუკლავს, როს მამულს სკირებია,
შვილო, იმ ვაგლას დედას შვილი არ პყვარებია!.. მას დედის
ძუძუ ტკბილი შხამდაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!.. იცოდე, ეგ სიკვდილი მეტი დიდი რამ
არი! უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი! მამულს

მიგცა ზეცამა და, თუ ზედ დააკვდები, ნუგეშ იცეს დედამა, რომ კაცი კაცად ჰკვდები. სიკვდილის წამში მამულს, შეიღო, შენ გაულიმებ, რომ სისხლს მისგან მოცემულს მასვე გმირებ უბრუნებ; აღსრულდები ღიმილით, რომ მამულს არ უმტყუნე. და შენ შენის სიკვდილით მის სიკვდილი დასთრგუნე“...

ეს დედის ანდერძი ილიამ უკლებლივ განახორციელა.

სკოლაში ილია ჩინებულად სწავლობდა და დაასრულა ივი (1857 წ.). პირველ პოსტავლეთაგანმა. მაგრამ მან ეს სწავლა არ იქმარა. მას გაღვიძებოდა ძლიერი სურვილი უმაღლესი სწავლაც მიეღო. ამგვარი სწავლის მიღება კი რუსეთის ქვეშვრდომთათვის შეიძლებოდა მხოლოდ პეტერბურგსა და თითოორილა სხვა ქალაქებში. ძნელი იყო წასვლა პეტერბურგს, შორეულს, ცივს და უთვისტომოს, მაგრამ ილია ამას არ შეუშინდა და ჯერ ისევ 19 წლის ჭაბუკი გაემგზავრა რუსეთისკენ. რომ მიდიოდა, თავისს საყვარელ ყვარლის მთებს გამოეთხოვა ამ სიტყვებით:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:

თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!..“

სამოციანი წლები, როდესაც ილიას მოუხდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნა, საუკეთესო ხანად ითვლება და ითვლება არა ამაოდ. ის-ის იყო რუსეთმა დაასრულა ბრძოლა ოსმალებთან, ის იყო ტახტზე აბდანდა ახალგაზდა იმპერატორი ალექსანდრე II, ის-ის იყო გაისმა მედგარი ხმა შესახებ ბატონ-ყმობის გადაგდებისა და სი იყო დასრულდა საშოცის წლის ბრძოლა მთის შვილებ ლეკებთან, რომელთაც თვისის იმამის შამილის დატყვევებით გუნიბის მწვერვალზე (1859 წ. 25 აგვ.) დაჰკარგეს უძვირფასესი თვისი საუნჯე—თავისუფლება და, სამაგიეროდ, ჩაერიცნენ საერთო საიმპერიო ცხოვრების ფერხულში. ყველა ამას აღტაცებაში მოჰყვანდა მთელის იმპერიის ახალგაზდობა, მოწინავე რაზმი. მათ შორის ერივნენ ჩვენებიც ილია ჭაბუკაძითურთ. იწერებოდა რუსეთ-

ში დიდდიდი თხზულებები, სათაყვანებელი შეიქმნენ, — უფრო
ახალგაზღდობისთვის, — ჩერნიშვესკი, დობროლიუბოვი, პისარე-
ვი, ბელინსკი, პუშკინი, გოგოლი და სხ. ყველა ამან და ყვე-
ლა ამათ ჩვენს ყმაწვილკაცობასაც დიდი იმედები გაუღვიძა.
პეტერბურგში შესდგა განსაკუთრებული წრე, რომელიც შე-
უდგა გაღმოენერგა საქართველოში ახალი მოწინავე აზრები,
აელორძინებინა აქ ახალი მშობლიური მწერლობა, მედგრად
შებრძოლებოდა ბატონ-ყმობის მოტრიფიალეთ. ამ წრეს შეად-
გენდნენ პეტერბურგის სტუდენტები *): ბაქრაძე დავით, აბხა-
ზი ა., თუმანიშვილი პ., ლოლობერიძე ნიკო, მალალაშვილი ლ.,
მალალაშვილები ეს. და გრ., ლამაზაშვილი მ., ალექსიშვილი-
მესხი ნიკ., მეფისაშვილი კოსტ., ისარლიშვილი ი., ლოლობე-
რიძე დ., ანდრონიკაშვილი გ., ჭავჭავაძე ილია, ალხაზიშვილი
პ., ჯაბადარი ნ., სავანელი ბ., თუმანიშვილი ბ., ლორთქი-
ფანიძე კირილე, ჯავახიშვილი გრ., აბაშიძე ს., მიზანდარი
ალოიზ, წერეთელი აკაკი, ტერდავითოვი მ. და სერებრიაკოვი
ილივო. ამათ პეტერბურგში დაარსეს ბიბლიოთეკა და ამ ბიბ-
ლიოთეკისთვის პროფ. დ. ჩუბინაშვილისაგან მიიღეს (1860 წ.)
ახლად გარდაცვალებულ სალომე ბატონიშვილის-მიერ შემო-
წირული 38 ქართული წიგნი. ამ წიგნთა შორის თითოორო-
ლა საღმთო წერილის თხზულებათა გარდა დანარჩენი ყველა
ისეთი იყო, რომლითაც შეიძლებოდა საფუძვლიანად შესწავ-
ლა საქართველოს ისტორიისა, ზნეწვეულებისა, ენისა, კანო-
ნებისა, გეოგრაფიისა და სხ. სული და გული ამ წრისა იყო
თვით ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ამხანაგებთან შეთანხმებით
გამოუთქვამს ქართველ სტუდენტების მომავალი მოღვაწეობის
გეგმა. ეს არის შემდეგი ლექსი, დაწერილი მეოთხე კურსის
სტუდენტის ილიას მიერ 1860 წელს.

*.) იხ. დ. ჩუბინაშვილისთვის მიცემული ბარათი. (ა. ცაგარელი.
Свѣдѣнія, т. I, вѣп. 3, გვ. 187).

„სოულეთის სიმღარა.

„დედამ რომ შეილი გაზარდოს,—
ემაგრე ჩვენისთანაო...“

მმურად გამოსადევნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,
ჰირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა.
ბრძენს არც ჩვენ დავუვარდებით.

დიღს არ გავექელვინებით
და მხარს მივუემთ პატარასა;
მტყუანს გულდაგულ დავხვდებით,
მტლად დავედებით მართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან შთომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
ულომოსა და დავრდომილს.

უნგარიდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.

მამულისა შეილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუქს გულსა,
რომ ყოველგან გამოვადგეთ
ჩვენს საყვარელსა მამულსა.

ეგრე გამოსადევნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო;
თუ დედამ შეილი გაზარდოს,—
ემაგრე ჩვენისთანაო.

ასეთი იდეალი დაისახეს პეტერბურგის ქართველ სტუ-
დენტებმა 1860 წელს და ამ იდეალის განხორციელებას უნ-
და შესდგომოდნენ სამშობლოში დაბრუნებისავე უმალ.

საზოგადოდ, ჩვენმა სტუდენტობამ,—ნუ კი მიწყენენ გულშრფელ სიტყვისთვის,—დაპირება დიდი იცის, პლან-გეგ-მების შედგენა საუცხოვო, საშობლო ქვეყნისთვის გულშემა-ტკივრობა შეუდარებელი, მაგრამ ვად რომ ყოველივე ეს სათ-ნოება კავკასიონის მთებს აქეთ ველარ გადმოაწევს ხოლმე, ახალგაზღური ოცნება და სურვილი, უმეტეს წილ, ცხოვრე-ბის სიტკბოების ძებნაში ითქვიფება, ქარწყლდება. თუ არა ეს დასაგმობი თვისება, მაშ რატომ ვერ ვხედავთ მათ,—თითო-ოროლის გარდა,—ვერც მწერლობაში, ვერც მეურნეობაში, ვერც მრეწველობაში, ვერც მეცნიერებაში, ვერც..., მაგრამ კმარა. სულ ცოტა, 2000-მდე „უმაღლეს“ სწავლა მიღებუ-ლიდამ ძლიერ თვალს მოვკრავთ ასიოდე კაცს. სად არიან და-ნარჩენები?...

ასრე არ დაემართა ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის სტუ-დენტობის წრეს. ამ წრიდგან გამოერჩივნენ ილია, აკაკი, კი რილე ლორთქიფანიძე, ნიკო ლოლობერიძე და რამთენიმე სხვა და ამათ, მართლაც, არ უღალატეს თავისს სტუდენტო-ბის ღრის შემუშავებულს გეგმას. ამათგანნი, მაგალ., იყნენ:

ილია სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი), რომელიც პროფერობდა ლაზარევის ინსტიტუტში, დაწერა რამთენიმე სამეცნიერო გამოკვლევა და გარდაიცვალა ეხლახანს.

ნიკო და ბესარიონ ლოლობერიძენი რომელნიც საკეთი-ლოდ მოღვაწეობდნენ და პირველი ეხლაც მოღვაწეობს, ეხმა-რება ყოველგვარ ქართულ საწალმართო საქმეს. აკაკი წერე-თელმა ხომ უკვდაობა სიცოცხლეშივე დაიმსახურა.

ილია ჭავჭავაძე სამშობლოსკენ გამოეგზავრა 1861 წელს, მაგრამ ჯერ ისევ 1860 წელს იგი დამლეროდა ამ ჰანგზე:

„როდისლა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა (-საქართველოს) თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა? დროისთან დანთქმულსა სხვა და სხვათა კავშირთა ბრძოლის, ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლის?

როს ესე ტოტი ერთცხოვრების, ერთარსებისა, ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?

როს იგი ტომნი ცად შიღწეულ მძღავრ კავკასიას.
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდებიან?

თავისუფლების შევენიერის სხივთ მხურვალება
როდის დააღნობს დაუანგებულს დიდხნის ბორკილისა?!

ამ ერთობის აზრს შეებოკა ჭაბუკ ილიას აჩსება. იგი
ჯერ ისევ 1859 წელს ურჩევდა ქართვლის დედას: შეილთ
„შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავი-
სუფლებას,—რომ სიკეთისთვის გული უჯრთოდეთ და მომავ-
ლისთვის ბედთანა ბრძოდენ“.

მაგრამ გამოვყეთ ახალგაზრა, გარნა დიდ ქადაგს.

1861 წელიწადით. სტუდენტობის მღელვარების გამო ილია-
სამშობლოშივე მოდის. გამოვარა კავკავიდამ და დაინახავა-რა
მაღლა მყინვარს და დაბლა მდინარე თერგს, იგი ფიქრობს.
ასრე:

„მყინვარი!... დიდებულია, მყუდრო და შვიდობიანი,
მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკირვებს და არ მათ-
ბობს,—ერთის სიტყვით,—მყინვარია. მყინვარი შთელის თავის
დიდებულებით საკირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად
მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი,
ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვ-
საც არ აატოვებს, ძირი თუმც დედამიწაზედ უდგა, თავი
კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ
მიყვარს არც მაგისთანა განზედ გამდგომა მიუკარებელია.
არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ
გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებელობა...“

„დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიუ,
გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შა-
ვის კლის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და-
აბლავლებს თავის გარეშემოს. მიყვარს თერგის ზარიანი ხუი-
ლი, გამალებული ბრძოლა, დროვინვა და ვაჟვალაბი. თერ-
გი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლვებელი
და ღირსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთე-
ლის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა.“

„მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკვდავება, და ჩუმია, როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, შით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი უოველთვის ძირიდამ დადებულია, უოველი შენობა ძირიდამ ამალლებულია, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა...“

„არა. არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გიორქეს შაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

ამავე მყინვარმა და არაგვმა ჯერ ისევ 23 წლის სტუდენტი რილის გაათვალისწინებს საქართველოს მთელი წარსული და მისი აწმყო უნუგეშო მდგომარეობა. იგი სწერს (1860 წ.):

„...და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი, მოხუცებული,
ვითა ქვეყანა, ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა;
მის გარეშემო შეენდნენ მთანი
და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა;
თერგი მრისხანე, თერგი მბდლვინვარე.
ქაფისა ზეირთთა მიაქანებდა...
...იჭიო შორს სჩანდნენ მინდორნი, ტყენი
და იმათ შორის — არაგვიც ჩვენი“.

ეს „დიდი კაცი“, ჰედავს-რა მის წინ კეკლუცად გადაშლილს. საქართველოს, მქუხარებს, რომ ეს ტურფა ქვეყანა, სავანე გმირთა, დანგრეულია, რომ უველა თავის პირად სა-

ქმისათვის ზრუნავს და საზოგადო კი—ყველას დაპირიშებია; აქ უგმირის დამბადი დიდი საგანი სპობილა და წარწყმედილა, ყველა გადასდგომია ქართველობას. აღარსად არის ნდობა, ყველგან გამეფებულა წვრილმანობა. შური და ლალატი, სიკეთე არ არის არც ტფილისში და აღარც განთქმულს მცხეთაში, რომელი იყო „გმირთა სავანე, დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების“, გლეხს, მხოლოდ „ამ შრომის შვილს, კისრად ადევს“ შრომის სიმძიმე და ამიტომაც „მყობადაცი მხოლოდ მისია“. „შრომის სუფევა მოვა“ და მის მაღლით წარწყმდების ძარცვა და რბევა, მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცომოვარება და სათნოება“.

თითქმის ამნაირსავე კილოზე ელაპარაკება ჭაბუკ სტუ-ლენტ ილიას მოხევე ლუნია, რომელიც მას შეხვდა დარიალის უიწროებში. იგი მოსთქვას: „...ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს. ადრიდა ერთ ერთობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალაი ქალობდის. ადრიდა ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლოთ ვითარევდით, შინ მიწრიელს (ეშ-მაქს), გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის ია-საულს მის ყუდროს არ მივკერძნდით, დაცემულს ვიურვებ-დნით, ატირდომილს ვიობშნიდით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა...“

„აწინა?.. აწინა კველაი გაცუდდის, კველაი გაუქმდის... აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარ-ბობაი, ანგარი. გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრო-ბა—ბძარვი გახშირდის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ,—პირად და გულად ჯულურ არნ“...

ყველა ზემონათქვამიდამ ცხადად სჩანს, რომ ილია ჯერ ისევ სტუდენტობაში მკვიდრს და მყარს ნიადაგს უმზადებდა თავისს მომავალს საქვეყნო სამსახურს. რგი არ კმაყოფილ ჯე-

ბოლა. მარტო საზოგადო განათლებით, არამედ გულმოდგინედ სწავლობდა თავის სამშობლოსაც ზედმიწვინით. ამის გამო ბევრი კიდეც ზრახვიდნენ თურქე მას და ეუბნებოდნენ, მოგიცლია, რომ საქართველოს ბედს აპყოლიხარო და იგი კი უპასუხებდა მათ:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და და გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლით დღენი“.
ამისთვის ილია დასაზრახი კი არა, ქების ღირსი იყო.

საქართველოს ტურფა და მორქმული ბუნება, აქაურ ბანოვანთა შვენიერება, აქაურ კაცის სტუმართმოყვარეობა, პატიოსნება, პირის სიმტკიცე, მელავის სიძლიერე, მსვლელობის სიმძაფრე... იმთავითვე შემჩნეული იყო უცხოელ მწერალთაგანაც ლერმონტოვმა, პუშკინმა და რამდენმა სხვამ აქ ჰპოვეს თვისის პოეზიის საგანი; არაგვი, მტკვარი, მყინვარი, ჯაჭვის-საყდარი და სხ. შეიქმნენ აღნაქვად მათ შვენიერ ლექსებისა. და რად უნდა იყოს საკიუნებელი თუ დასაზრახი ის ქართველი, რომელიც ლექსს მიუძლვნის, მაგ., მცხეთას, არაგვს, რიონს, ტურფა სამშობლოს, კეკლუც საქართველოს! რაღა თქმა უნდა, კაცი არ უნდა იყოს სამშობლოს სიყვარულით დაბრმავებული. ქეშმარიტი მამულიშვილი მხოლოდ ის არის, რომელსაც თავის ღვიძლ ერის თანასწორად უყვარს ყველა დანაშთენი ერებიც, მთელი კაცობრიობა. ილია სტუდენტისწორედ ასეთ მამულიშვილად იმზადებდა თავისს თავს. შენი შენთვის დამიღლოცნია და ჩემში ნუ მეცილებიო, აი ეს იყო ილიას მამულიშვილობა, პატრიოტობა.

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰყივის.
ბალში ვაზი ობოლ. ი
მეტის ლხენითა ტის, ის;
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?“

ამისთანა აღმონაკვნესით 24 წლის ილიამ მოაწია ტფილის და შეუდგა დაპირებულის განხორციელებას.

საქართველო მაშინ ყოვლის მხრივ უძლური იყო.

არ მოეპოებოდა მას სკოჭა

არ მოეპოებოდა ფული

მწერლობა ვაინაჩრობით მიღოღავდა

ძველი სამწერლო ნაშთები იმუსრებოდა, იბნეოდა.

გლეხობა მძიმე უღელ ქვეშ იჭყლიტებოდა, კვნესოდა, გმინავდა.

საჭირო იყო ძლიერის სულის შთაბერვა, რომ მიძინებულ-მისუსტებულ საქართველოს თვალები მოეფშვნიტა, გამოელვიდა, აღფრთოვანებულიყო.

ამისთანა სული შთაებერა საქართველოს, მაგრამ, უშიშროდ ვაცხადებთ, შთაებერა არა მარტო, როგორც ზოგიერთები ღალადებენ, ილია ჭავჭავაძის მიერ: ილია-აკაკის უღელს ბეგრნი სხვანიც მიეწეოდნენ და უყევროდ მარტო ილია საქართველოს ეტლს ძრას ვერ აქნევინებდა.

სამოციან წლებიდან საქართველოს გაღვიძებაზე ლაპარაკის დროს ჩვენ ზნეობრივად მოვალენი ვართ ილია-აკაკის სახელებთან ერთად მოვიხსენიოთ ისეთი სახელებიც, რომელთა მარტო ხსენება საქმაოა, რომ გავითვალისწინოთ ამა თუ იმ მოღვაწის საქმე ქართველ ერის სულიერ ზრდაში. მაგალ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერ-ამერთათვის 40 წლის განმავლობაში იყო ცოცხალ სასულიერო აკადემიად, გიორგი ერისთავი იყო ქართულ თეატრის დამაარსებელი და მისი სულის ჩამდგელი, დიმიტრი ყიფიანი და ბესარიონ ლოლობერიძე იყვნენ სათავად-აზნაურო ბანკების დამფუძნებელთაგანნი, იაკობ გოგებაშვილის მიერ გონიერად შედგენილი სახელმძღვანელოები მოეფინა მთელს საქართველოს კიდის კიდემდე, დიმიტრი ბაქრაძემა და მის მიმყოლო დაარსეს. საკელესიო მუზეუმი, რომელშიაც შემოკრიბეს მრავალ მილიონად საღირალი სამწერლო ნაშთები და დაბეჭდეს მრავალი მასალა საქართველოს წარსულის შესასწავლად. აქ, რაღა თქმა უნდა, ყველას ვერ

შოვიხსენიებთ, მაგრამ ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენის მახ-ლობელ წარსულისთვის, იმან კარგად უნდა იცოდეს, თუ რა-ოდენი სამსახური მიუძღვის ქვეყნის წინაშე ი. მაჩაბელს, და-ნიელ ჭორქაძეს, რომელმაც თითქმის პირველმა აიმაღლა ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, სერგეი მესხს, რაფ. ერისთავს, დ-ერისთავს, გ. და ვ. ორბელიანებს, ა. ყაზიბეგს, ე. ნინო-შვილს, გიორგი წერეთელს, ან. ფურცელაძეს, ნიკო ნიკო-ლაძეს, ვაჟაფშაველას, ან. და ავ. ცაგარლებს, ს. მგალობლი-შვილს, ნ. ლომაურს, ნ. ცხვეთაძეს და მრ. სხ. ჩინებულ და უანგარო მუშაյთ და მოღვაწეთ, მაგალ., თუნდ ლ. ალნია-შვილს, რომელმაც ზღაპრულ გმირივით რკინის ქალამნები ჩა-იყო, რკინის არგანი ხელში დაიკირა, გაემგზავრა უცხო და შორეულ სპარსეთს, იქ აღმოჩინა 40—60 ათასამდე ქართვე-ლი, შეისწავლა მათი ცხოვრება და გაგვაწნო იგინი ჩვენ, ან და თუნდ იმ ჯგუფს (თაყაიშვილი, უორდანია, მარჩი, ხახა-ნაშვილი, ჯავახიშვილები და სხ.), რომელმაც ბროსეს, პლ. იოსელიანის, ჩუბინაშვილის, ბაქრაძის, ცაგარლის მემკეიდრეობა თავს იდო და რომელმაც საკუთრივ დაპ-ბადა კეშმარიტი ხანა საქართველოს წარსულის შესწავლი-სა მის მრავალგვარ და უუძირიფასეს სამწერლო, სახუროთ-მოძღვრო და სხ. გვარ. ნაშთების შემოკრებითა, გამომზევები-თა და ჩხრეკა-ძიებით და რომელმაც ბოლოს დაარსა „საქ. საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოება“.

II. ერთს თავისს ლექსში, რომელიც დაწერილია 1860 წ., იღია გულის სიღრმით ამოიკვნეს: „ვაი მას, ვინ კა ჰაბუკო-ბას ჰაბუკ არ არი“. და 1860 წელს კი 23 წლის ილია, ზართლაც, „ჰაბუკ აღარ იყო“, იგი უკვე, როგორც ცხადად სჩანს იმის ამხნის ნაწერებიდამ, დაბრძენებულს, გულმშევიდ მოხუცს მოგაგონებდათ, ვიდრე ახალგაზდა ჰაბუკს.

სამშობლოში დაბრუნებულ ილიას აქ დაუხვდა ფრიად გამწვავებული კითხვა ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ.

1861 წელს რომ გაუქმდა ბატონყმობა რუსეთში, ჩვენმა გლეხკაცმამაც თვალები მოიფრინიტა, ყურები აცქვიტა, სა-უკუნო მონაბის უღლისაგან განთავისუფლების იმედი ჩაისახა

გულში. ამავე დროს ბატონებმაც თვალი აჭყიტეს, დაიწყეს მითქმა-მოთქმა, სჯა-ბასი იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით აიცდინონ მომავალი განსაცდელი.

ყირიმის ომი (1853—1856 წ.) თუმცა რუსეთის სასარ-გებლოდ გაიავდა, მაგრამ მან ღრმა წყლულებიც გამოაჩინა რუსთა ცხოვრებაში. უმთავრესი ამ წყლულებათაგან იყო უფლებო მდგომარეობა მდაბიო ხალხისა, გლეხკაცისა, რომელსაც მებატონე, თუ პირისურვებდა, ნივთსავით ჰყიდდა. გლეხების უნუგეშო მდგომარეობა ბატონის ხელში დიდის ხელოვნებით აღწერა ჯერ ისევ გოგოლმა († 1852 წ.). ყირიმის ომის დასრულების შემდეგ უფრო ბეჯითად მოითხოვეს გლეხთა განთავისუფლება მებატონეთა ულლისაგან. ახალგაზდა იმპერატორი ალექსანდრე II ხალისით მიეგება საზოგადო, მოთხოვნილებას და 18 თებ. 1861 წელს შიდა რუსეთის ყმებს თავისუფლება მიანიჭა.

ყმა-გლეხთა სასარგებლო მოძრაობა ჩეენშიაც გაჩნდა. მაშინ ტფილისში იბეჭდებოდა გაზ. „ცისკარი“, რომელშიაც თანამშრომლობდნენ გიორგი ერისთავი, მოლაყბე (მიხ. თუმანიშვილი) და ბეკრნი სხვანი. ესენი იყრებოდნენ „ცისკრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძესთან და ცდილობდნენ გლეხთა სასარგებლო წერილები ებეჭდათ გაზეთში ან ცალკე წიგნებად. ამათ თავიანთ წერილებისთვის სახალხო ენაც შემოიღეს, მაგიერად ძველებურ მწიგნობრულისა. პირველად ამ აღვიჩევასაგებ სახალხო ენით წერა იწყო გიორგი ერისთავმა. 1859 წ. გასულს „ცისკარში“ დაიბეჭდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“. ეს ავტორი თავის შესანიშნავს თხზულებაში საჯაროდ ჰემობდა ბატონ-ყმობას, დიდის ხელოვნებით ჰეხატავდა ყმის სავალალო მდგომარეობას. ამისთანა კითხვაზე მაშინ ლაპარაკი აღვილი საქმე არ იყო, რადგან ძრიელს თავად-აზნაურობაში უშეტესობა ბატონ-ყმობის გაუქმების წინააღმდეგი იყო და დანიელ ჭონქაძეს და სხვებს, რომელნიც თანაუგრძნობდნენ გლეხკაცის განთავისუფლებას, უკიუნებდნენ და ეუბნებოდნენ: „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონებათ არ ითქმის...“

უწინდელ დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა, შემატონე ვი-
შოვნო და იმას შევეხიზნოო, ამსთვის, რომ შებატონე თავის
ყმას შეილსავით ყურს უგდებდა და შეილის მსგავსათ გული
სტკიოდა ყმისთვის... მებატონეები თავს არასდროს არ ზო-
გავდნენ ყმებისთვის".

ამგვარ ადამიანების პასუხად ილია ჭავჭავაძემ დასწერა,
ღიდებული თხზულებები: „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვ-
რებიდამ“ (1860 წელს), „გლახის ნაამბობი“ (1862 წ.),
„კაცია ადამიანი?!“ (1863 წ.) და სხ. ამ თხზულებებში იგი
უშიშრად ჰყიცხავდა ბატონ-ყმურ წეს-წყობილებას, მებატო-
ნეთა უმეტესობის გადაგვარ-გადაშენებას, მათს სისასტიკეს,
უმაჯნისობას, არარაობას, ექომაგებოდა ყმა-გლებს, თანავრძნო-
ბით აღწერდა მის ბედ-შაობას, უდიერ ყოფამდგომარეობას.

მონობის მმაგებელი ყმობის მოყვარუ-მოტრფიალეთ დაჭ-
გმეს. ამას აღნიშნავს თვითონვე ილია. იგი სწერს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქაროველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, — ეგ ხომ ცხადი სიძულველია!“

მაგრამ ამისთანა ქვებუდანობას ყურს არ ათხოვებდა ახალ-
გაზდა მედგარი მგოსანი, იგი მღეროდა (1860 წ.) ალტაცე-
ბულად ამ ჰანგზედ:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!

სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქებს
დასათრეუნვლად მონთბისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა

და აღმიგზნებს იმედს გულში,

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი

გამაგონე ჩემს მამულში!“

ამისთანა მწერლობაშ თრი ძრიელი წრე ანუ ბანაკი და-
ბადა საქართველოში: — საწალმართო და საუკულმართო. პირ-
ველის მოთავენი და სულის ჩამდგმელები იყვნენ ილია და
აკაკი, რომელთაც გარს ეხვივნენ გლეხკაცობისა და ყველა
დაჩაგრულის მეგობრები — გიორგი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე,

ან ფურცელაძე, ი. კ. და ქრ. მამაცაშვილები, ილია წინამ-ძღვრიშვილი, ქ. ლორთქიფანიძე, ლოლობერიძეები და მრ. სხ., მეტადრე სკოლებში მოსწავლე ახალგაზღობა, რომელიც ჭავჭავაძეს ნაწერებსა და ნათქეამს აღტაცებაში მოჰყვანდა. მისს პატარ-პატარა ლექსებს სემინარიელები და სხვები იწერ-დნენ, ზეპირად სწავლობდნენ და კიდით-კიდემდე ავრცე-ლებდენ.

მეორე წრეც ძრიელი იყო, მაგრამ სიტყვა აღარ გაუდიოდა, რადგან ყმების განთავისუფლებას შიდა რუსეთში უეპვე-ლად უნდა მოჰყოლოდა ქართველ ყმების განთავისუფლებაც.

აზრმა იტრიალა და ბოლოს მეორე წრეც დარწმუნდა, რომ ყმა უნდა განთავისუფლდეს უსათუოდ. თავად-აზნაურობა დიდს საგონებელში ჩავარდა, რადგან შრომას შეუჩეველს ვერ წარმოედგინა, როგორ იცხოვრებდა უყმოდ, უმუშახელოდ გზას როგორ წავიდოდა. მარშლის დ. ყიფიანის მოწოდებით შესდგა კომიტეტი გადასაწყვეტად კითხვისა—საჭიროა თუ არა რომ განთავისუფლდეს ყმა, თუ საჭიროა, გავანთავისუფლოთ მიწიანად თუ უმიწოდ? კითხვის გარჩევას დაესწრო ილიაც, რომელმაც ყველას გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა: „ყმას თა-ვისუფლება მიწასთან ერთად უნდა მიეცეს“. ამ განცხადე-ბამ ყალხზე დააყენა მთელი კრება, რომლის უკუღმართ წევ-რებს გლეხის უმიწოდ განთავისუფლება სწადდათ. ერთმა მათ-განმა იშიშვლა ხმალი და ილიას მოსაკლავად მიიწია, მაგრამ იგი შეიკავეს და ახალგაზღდა ქადაგი ძლივს გადაარჩინეს სიკვ-დილს.

ამავე საკითხის გადასაწყვეტად რომ შეიკარა მეორე კრე-ბა, გენერალ ივ. მუხრან-ბატონმა განაცხადა: უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას ემხრობა ყველა თავად-აზნაურობა, გარდა თრიოდ კაცუნებისაო. კაცუნებად, რაღა თქმა უნდა, ორა-ტორი იგულისხმებდა ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს. ილია არ შეშინდა. მუხრანსკის მხარში სტაცა, თავისკენ მოატრია-ლა და მრისხანედ მიაძახა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრან-

ჲკი იძულებული იყო ბოდიში მოქადა ილიას წინაშე და „კაცუნა“ „კაცად“ გაესწორებინა...

ამ გარემოებისა თუ სხვა შემთხვევის გამო ილიამ გამოს-
თქვა ეს სიტყვები:

„ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ლიჩდნენ,
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზლ, დაბალ მტრობაზედ
არც მეცინება, არც მეტირება“.

1863 წელს ილიას რედაქტორობით გამოდიოდა ჟურ.
„საქართველოს მოამბე“, რომელშიაც უფრო მქაფიოდ, სხარ-
ტულათ სწერდა წერილებს შესახებ ბატონყმობისა, და მეორე
წელიწადს (1864 წ.) ეს კაცის დამამცირებელი ბატონყმობაც
მოისპოვ იმპერატორის მანიფესტის თანახმად. ეს იყო პირველი
და დიდი გამარჯვება საწალმართო წრისა. აქედგან ქართველმა
ერმა კვლავ იწყო გალვიძება და გამარჯვება, ვინაიდგან მონა
თავისუფალ კაცად იქცა, ლუარსაბ თათქარიძეობა დასაგმობ
საქმედ გახდა.

გაკეთდა-რა ეს უდიდესი საქმე, ილია ჭავჭავაძის წრემ
თავისუფლად ამოისუნთქა და ქვეყნისთვის სამსახურს ორკე-
ცის ძალით შეუდგა. თვით ილიამ გლეხსა და მებატონეს შო-
რის ახალის ურთიერთობის დასამყარებლად მომრიგებელ-შუა-
მავლის თანამდებობა იკისრა. მისი მისადევარი იყო ვრცელი
კუთხე—სართიჭალისა და მცხეთის საბოჭაულოები. აქ სასახე-
ლოდ ასრულებდა იგი ნაკისრ მოვალეობას. მერე იგი დანიშ-
ნეს (1868 წ.) ღუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ.
ტფილისში რომ დაარსდა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო
ბანკი (1875 წ.), მის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელად სა-
ზოგადოებამ მოიწვია ილია, რომელმაც საფინანსო საქმეშიაც,
ვით ყველგან სხვა თანამდებობაზე, გამოიჩინა დიდი ცოდნა
და უნარი, ბანკი მის ხელში, გაიზარდა, განმტკიცდა და შე-
საძლებელი შეიქმნა. მის შემოსავლით რამდენიმე ახალი საე-
როვნო დაწესებულება ესაზრდოვებინათ, მაგალ., სათავად-აზ-
ნაურო სასწავლებელი, რომელშიაც გლეხკაცობის შვილებიც

ბლომად ურევიან, ბანკისავე დახმარებით სულდგმულობს წე-
რაკითხვის საზოგადოება, დაარსებული ილიას და მის მომხრე-
ების თაოსნობით, მდიდარი ფასდაუდებელ ხელნაწერებით და
სხვა და სხვა ნაშთებით, აგრეთვე ქართული ოთატრი, მოთავ-
სებული ბანკისავე შემოსავლით შეძენილს დიდს, მილიო-
ნად ღირებულს სათავად-აზნაურო შენობაში, სასახლის ქუ-
ჩაზე, დიდად თვალსაჩინო წინამდლვრიანთკარის სამეურნეო
სასწავლებელიც, დაარსებული თავისს საკუთარ მიწა-წყალზედ
ილიას მეგობრის და ყოველ საწალმართო საქმეში მის თანა-
მოზიარის ილია ივანესძე წინამდლვრიშვილის მიერ, ცოტა წი-
ლი დახმარება არ ეძლევა ბანკისაგან აგრეთვე წერა-კითხვის
საზოგადოების მიერ გახსნილ სასოფლო-სახალხო სკოლებს.

ბანკის წარმოების საქმე ილია ჭავჭავაძემ ისე ზედმიწევ-
ნით იცოდა, რომ ამ მხრივ მან სახელი გაითქვა მთელს რუ-
სეთშიაც. არა ერთხელ იგი—სხვა ბანკების წარმომადგენლებ-
თან ერთად—დაუბარებიათ პეტერბურგს საფინანსო საქმეებზე.
მოსალაპარაკებლად და ყოველთვის ეს ფინანსისტთა კრებული
აღტაცებაში მოუყვანია თავის ცოდნით. ამავე ლრმა ცოდნას,
რასაკირველია, მიეწერება მისი სიმკვიდრეც ტფილისის ბან-
კში, რომელსაც 30 წლის განმავლობაში იგი ჰმართავდა და
ამ ხნის განმავლობაში „ოპოზიციამ“;—თვით ივანე გ. მაჩაბ-
ლის ძრიელმა ოპოზიციამაც,—ვერა დააკლო-რა ილიას, ვერ
შესძრა ეს დედაბოძი ბანკისა.

III. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ილია ჭავჭავაძე 1860 წლით-
განვე შეიქმნა ლიდერად ანუ დედაბოძად ქართველ ახალგაზ-
დათა წრისაო. რომ უფრო ცხადად გავიგოთ, თუ ვითარ „დე-
დაბოძობდა“ ილია, როგორ და ვის დახმარებითა. თუ მოწი-
ნააღმდეგებით მოარონინებდა იგი ქართულ აზრს თითქმის.
თავის სიკვდილის დღემდე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ
ქართულ ახალ მწერლობისა და ბეჭდვის შველელობა. ეს გან-
ხილვა ჩვენ დაგვანახვებს ყველა იმ ნაკადულებს, რომელთა
ერთ კალაპოტში შელევით შესდგა ის დიდი და ძრიელი მდი-
აბრე, რომელსაც ჰქვიან დღევანდელი ქართული ცხოვრება.

რაღა თქმა უნდა, დღევანდელი ჩვენი ცსფერება შედულდა საუკუნოებით შეძენილ წმინდა ქართულ ნაკადულების რუსულ ნაკადულებთან შელევით. ამ შელევის დასაბამად ითვლება 1800—1811 წლები, როდესაც საქართველომ თავისივე წინდაუხედავ მეფებისა და მთავრების წყალობით დაპარგა თავისუფლება. მას აქეთ მოდენილ ორ ტოტმა—ქართულმა და რუსულმა ერთ-ურთის ბრძოლით და ხან კიდე დამეგობრობით, დატკბობით შეჰქმნეს სახე დღევანდელის ჩვენის ყოფა-მდგომარეობისა.

ეს ორტოტობა, ამ ორ ტოტის მოსალოდნელი შეხლა-შეტაკება-ბრძოლა და ამ ბრძოლით ახალის ცხოვრების დაბა-დება აღინიშნა. ირაკლის დამარცხებიდანვე 1795 წელს, იმ დღიდგან, რა დღესაც მეფესა და მინისტრს შორის გაიმართა, შემდეგი ბაასი.

შეფე. აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი...

მას მსურს რომ მივსცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა.

დაითხიძე. ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა...

ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება

ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს!

ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი,

ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,

რაც მოისურქოს ქართველობამა?

შეფე. მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე...,
არამედ ვითა მამა კეთილი!

დაითნიძე. განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს:
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბეჭურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერთ კვეშ თავისუფლება!
მეფის განზრახვისაგან თავზარდაცემული ლიონიძე, შინ
მიმავალი, ასრე ფიქრობდა:

„მაღლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
და მის ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
უითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,—
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის?!“...

პოლიტიკურ თავისუფლების დაქარგვას იმ აზრით შეუ-
რიგდა ქართველობა, რომ იფიქრა—განათლება და ეკონომი-
ური აღორძინება უფრო აღამაღლებს და გააბრწყინებს ჩვენს-
სამშობლოსაო. ჯერ ისევ მეცხრამეტე საუკ. დამდევ დროის
მწერალი იონა ხელაშვილი, აღზღიული პეტერბურგს, სწერს,
რომ მალე ჩვენი ტფილისი ახალ ათინად იქცევაო და კიდით-
კიდემდე საქართველოს მოეფინება განათლებაო. თვით ნ. ბა-
რათაშვილს სწამს, რომ ირაკლიმ მხოლოდ ამ „განათლება-
აღორძინებისთვის“ იოლო გვირგვინზე ხელი და ქვეყანას მო-
უსპო თავისუფლება. 26 ის წლის მეოსანი მიჰმართავს ირაკ-
ლის (1842 წ.).

„თაყვანს გცემ შენსა ნაანდერძებს წინასწარად თქმულს:
გახსოვს, სიკედილის ქაშს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?

აპა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი
და ვკამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი:
უმ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიღამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო:

მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,
და მუნით ზიღვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანას,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამყალთა ერთი ათასად“...

კასპიისა და შავი ზღვები აწ მტრების მაგიერ მოყვრეებს
გვიგზავნიანო, ქართველმა ხმალს ხელი აართო და სამშეიდო-
ბო მოქალაქეობა იწყოთ. და ამისთვის და მხოლოდ ამისთ-
თვის თაყვანს ვცემო გმირის ირაკლის საფლავს.

მართალია, თავისუფლების დაკარგვის შემდეგ კიდევ ერთ-
ხანს შერჩა ქართველობას თავის ეროვნების მაუწყებელი ნიშ-
ნები: სამართალი, ეკლესია, ფული (ქართ. ფული იჭრებოდა
ტფილისში 1822 წლამდე), ენა სკოლებში, და სხვ., მაგრამ
შემდეგში ყველა ამან იწყო დაკნინება, დაწრეტა, გაუქმდა.
მაგიერათ შემოვიდა ახალი კანონები უცხო ენაზე, ახალი სკო-
ლა, ახალი სახორციელო და სასულიერო წეს-წყობილება. ამ
ცვლილებამ დაბადა წმინდა ქართული მიმართულება, სუსტი
დასაწყისში და გაძლიერებული მესამოცე წლებიდგან.

ეს მიმართულება, ვიმეორებთ, განისკვნა მე-XIX ს. და-
საწყისშივე და მისი მიზანი ის იყო, რომ ერისთვის მიეცა გა-
ნათლება, სულიერად აღმაღლებინა იგი, რაღვან ახალს ძრი-
ელს ტალღას არ გაეთქითა მისი პირვენება, როგორც ერი-
სა, რომელსაც კაცობრიობის წინაშე მიუძღვდა მრავალ სა-
უკუნოვანი და დიდი დამსახურება.

ხსენებულ მიმართულების მატარებელნი და მატფურებელ-
ნი იყვნენ უწინარეს ყოვლისა ქართველ მეფე-მთავრების შეი-
ლები ანუ ბატონიშვილები და მათ გადაშენება-გადაგვარების
შემდეგ თვით ერი და მისი რჩეულნი. მიმართულების დედა-
აზრი პირველ ხანს ერში სულდგმულობდა ზეპირსიტყვაობი-
თა და ხელნაწერებით, შემდეგ კი უურნალ-გაზეთების მეოხებით.

1819 წელს გამოვიდა პირველი გაზეთი — „ქართული გაზეთი“, რომლის რედაქტორად 1824 წლითვან იყო სოლომონ ლოდაშვილი. ეს სოლომონი იმავე დროს იყო მასწავლებლად ტფილისის საკეთილშობილოთა სასწავლებელში. იგი ეკუთვნოდა იმ ქართ საიდუმლო წრეს, რომელმაც 1832 წელს მოახდინა შეთქმულობა საქართველოს განსათავისუფლებლად, მაგრამ მთავრობამ დროით გაიგო, სოლომონი, გრიგოლ ორბელიანი და მათნი თანამოაზრენი დასაჯა და განდევნა სამშობლოდგან.

1846 წელს ისტორიკოსი პლ. იოსელიანი ბეჭდავდა რუსულ გაზეთს, ხოლო 1852 წელს დრამების მთხვეველ გ. ერისთავმა უურნ „ცისკრის“ ბეჭდვა იწყო. შემდეგში ამ გაზეთის რედაქტორად შეიქმნა ივ. კერესელიძე, რომელიც 1860—1866 წლ. ბეჭდავდა გაზ. „გუთნის-დედას“. 1873—1876 წლ. უს გაზეთი განაახლა ან. ნ. ფურცელიძემ. ყველა ამ გაზეთებში მონაწილეობას იღებდნენ დ. ბაქრაძე, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ლ. არდაზიანი, დ. ჭონჭაძე და სხ.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის უურნ. „საქართველოს მოამბემ“ დაპბადა მთელი ეპოქა ჩვენს დროგამო შვებით მწერლობაში იგი შინაარსის მიხედვით იყო პირველი — ევროპიული და დიდი ზედგავლენა პქონდა საქართველოს თანამედროვე საზოგადოებაზე. მისს გამოსვლას დიდის აღფრთოვანებით შეიგებნენ კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და ბევრნი სხვანი.

1866 წელს გ. წერეთელმა გამოსცა გაზ. „დროება“ ნ. ლოლობერიძისა, ივ. თულაშვილისა და სტ. მელიქიშვილის თანამშრომლობითა და დახმარებით. 1868 წ. „დროების“ რედაქტორობა იკისრა სერგ. შესხმა, ხოლო გ. წერეთელმა „სასოფლო გაზეთის“ გამოცემას მოჰკიდა ხელი. ეს გაზეთები ესარჩევებოდნენ გლეხკაციაბას და ჰემობდნენ თანამედროვე წესწყობილებას. ამავე გზას დაადგა გიორგი წერეთლის «კრებული» (1871 წ.) ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობით. „კრებულში“ იბეჭდებოდა მრავალი საგულისხმიერო და შესანიშ-

ნავი წერილები და გამოკვლევანი, მეტადრე დიდი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე კრიტიკულ წერილებს სკანდელისას (ნიკოლაძისას).

1877 წელს ილიას რედაქტორობით გამოვიდა „ივერია“, რომელიც 1880 წელს შეუერთდა „დროებას“, მაგრამ მალე ისევ გაეყარა და ცალკე გამოსვლა იწყო, „დროებამ“ კი, რომელიც 1883 წლიდამ გამოდიოდა ივანე მაჩაბლის რედაქტორობით, სული დალია მთავრობის განკარგულებით.

კიდევ ბევრი უურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა ჩვენში, მაგალ., „მნათობი“, „ნობათი“, „შრომა“ (ქუთაისში), „იმედი“, აკაკის „კრებული“, „მოამბე“ და სხ., რომელთაც საკმაო სამსახური გაუწიოს ხალხის გალვიძება — განვითარების საქმეს. მეტად ღრმა კვალი დააჩნია ახალის ცხოვრების საქმეს გაზ. „კვალმა“ (1893 წ.), რომელშიაც ჯერ მუშაობდნენ გ. წერეთელი, აკ. წერეთელი, ივ. მაჩაბლი, და მერე მესამე დასის დამამყარებელნი ნოე ქორდანია, ფ. მახარაძე, ჯიბლაძე; წულუკიძე, ნიჭიერი გომარეთელი.

ჩვენს უმახლობელეს დროს აღმატებული სამსახური გაუწია საზოგადოებას „წიგნების გამომცემულ საზოგადოებამამაც“ თავის გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ თუ სხვა და სხვა გამოცემებით, რომელთაგან არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ილია ჭავჭავაძის და აკაკის თხზულებები, ბაჩანას, ვაჟაფრაველას, რ. ერისთავის, ყაზბეგის და სხ. ნაწერები.

ქართულ თეატრის მსახურთ (პ. გუნიამ, ვ. აბაშიძემ, ალექსი-მესხიშვილმა, კ. ყიფიანმა, ტ. აბაშიძისამ, ნ. გაბუნიამ და სხ.) ხომ განთესეს ფასდაუდებელი თესლი, ერს განუმტკიცეს და გაუმტიდრეს ენა, გაუფაქიზეს ანუ გაულმობიერეს ზე, უმეტესად შეაყვარეს სამშობლო, სამშობლოს“, „დედა და შვილის“ და მათებრ შესანიშნავ ნაწარმოების სცენაზე თამა-შობით. აქ აღარ ვისენიებ ფილარმონიულ საზოგადოების ღვა-წლს, ვინაიდან იგი ეხლახანს დაწესდა, მაგრამ არ შემიძლია მოუხ-სენებლად დავტოვო ფ. ქორიძე, ი. კარგარეთელი, არაყი-შვილი, კარბელაშვილები, ლ. აღნიაშვილი და სხ., რომელთაც

დიდი ამაგი დასდეს ქვეყანას სამშობლო სიმღერებისა, საგა-
ლობლებისა და ჰანგების შემოკრებითა თუ მგალობელთა გუნ-
დების დარსებით.

ყველა ამას რომ მიკუმატოთ თვალსაჩინო ღვაწლი ქუ-
თაისის, ჭიათურის და სხვა დაბაუქალაქების ქართულ დაწესე-
ბულებათა, და დეპო-ბიბლიოტეკების შრომა, ზოგიერთ მას-
წავლებელთა და სასულიერო პირთა (ეპ. ოლექსანდრეს, კი-
რიონის, ლეონიდის, დეკ. დამბაშიძის და სხ.) მონაცე-
წი, თვალწინ გვექნება მთელი ჯამი იმისა, რასაც ბარათა-
შვილი ეძახდა თავისუფლების მაგიერს განათლებას და რაც
მოიჭირნახულა ქართველმა ერმა უმთავრესად ილია ჭავჭავაძის
მესვეურობით.

როდესაც ალიძროდა რაიმე დიდი საეროვნო კითხვა, მაგ.
ხიზნების ბედის გადაწყვეტის შესახებ ანუ გურიაში გაგზავნილ
რაზმის დაბრუნებისა, უცხოეთიდამ მოსულ ქართველთა მოყვა-
რე სტუმრის დახვედრისა თუ ქართულ ენის დასაცველად სა-
პედაგოგიო წერილის დაწერისა... უკელვან და ყოველთვის
უილიაოდ არა კეთდებოდა-რა...

ილია იყო თავისმუნება, თვითარს, შეურყეველ, მედგარ-
ხასიათის კაცი. ერთს რასმე საქმეს რომ დაადგებოდა შემდეგ
ყოველ მხრივ მის განსჯისა და გამოწვლილვისა, მას ბოლომ-
დის „ჩააკვდებოდა“. ის იყო ერთს ბრძნულ თქმულების გან-
მხორციელებელი: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭრ“.
ყოველი მისი თხზულება, თვით სიჭაბუქის დროინდელიც,
სწორეთ შვიდჯერ გაზომილია და ისე გამოჭრილი. ილიაზედ
ამბობდენ ზოგიერთები—შრომის მოყვარე არ არისო. ეს შე-
ცდომაა. მისი თხზულებების შინაარსი და ენა ცხადად გვაძ-
ნევს, თუ მათს ავტორს რაოდენი ძალდონე შეულევია თა-
ვისის თავის გასანათლებლად, მრავალგვარ მეცნიერების შე-
სასწავლად, განთქმულ ფილოსოფოსთა და მცენრმეტყველთა
ნასიბრძნის ასაწონ-დასაწონად, ძველ მემატიანეთა ნაწერების
გასაცნობად... იგი, რომ იტყვიან—ყოველმხრივ განათლებუ-
ლი კაციაო, სწორეთ ის იყო. ჩვენში მხოლოდ მასზე შეგვი-

ძლია ვთქვათ: იგი ჭაბუკობითვე ენამზე ფილოსოფოსი და: დიდი მგოსანი იყო.

ვახ ჩვენ! საეროვნო ოვისებად გაგვიხდა საშშობლოს მა- დიდებელთა და წინწამწევთა მოკლვა, შემუსერა, დათრგუნვა, განდევნა. ოთხ გონებით მნათობთაგან ვერც ერთი ვერ შე- ვიგუეთ. **შოთა რუსთაველი** იძულებულ იყო შორეულ პა- ლესტინის უდაბნოებში დაელია თვისი უკვდავი სული. მისი- თხზულება საქართველოში სამღვდელოებამ დასწვა, ხოლო აქაურმა ბერობამ გაჰკიცხა მისი დამწერი ამ სიტყვებით: შო- თა „ამაռდ დაშურა, საწუხ არს ესე““. მეორე იყო დაგით გურამიშვილი, რომლის დიდებულ ნიჭის ზრდიდა არაგვის იყივე არემარე, რომლის სიშვენიერებ და დიადობამ ილიას გამოათქმევინა ბევრი „წყობილი მარგალიტი“ . ეს დავითი ყველაზე წინდაუხედავ მეფის ვახტანგ სჯულ-მდებელის მეო- ხებით ლეკებმა დაიჭირეს არაგვისპირასვე, ლამისყანას, წაი- ყვანეს დალისტანს, სტანჯეს, და ბოლოს სული დალია რუ- სეთის ტრიალ ველებზე, საშშობლოს ნახვის დანატრებულმა. ვის არ ასთვეს მესამე—**ნიკოლოზ ბაჩათაშვილი**—, რომე- ლიც თვის გვარ-ტომ-ნათესავთაგან შეუწყნარებელი დაიღუპა განჯაში! მეოთხეს—**ილიასაც** იგივე დაემართა: მასაც გავუგმი- რეთ გული... ოთხნივე დიდებულნი მგოსანნი გადაშენდნენ უშეილოდ, უმეტკვიდრეოდ. განა მარტო ესენი ვერ სცნა თა- ნამედროვე ქართველობამ? ჩვენის სამარცხვინო უზრუნველო- ბით სხვა უნიჭიერესი მოლვაწეებიც ვერ შევიგუეთ, ზოგი დღისით-მზისით კვალ-წმინდათ დავკარგეთ (ი. მაჩაბელი); ზო- გი დავაგიქეთ, ზოგი დავპლექინეთ (ე. ნინოშვილი)...

ჩვენ ჩვენს „ავტორიტეტებს“ წიხლს ვკრავთ, სხვებისას კი „მაგრა“ ვეჭიდებით! ტყუილად კი არ თქვა ქრისტემ: არა არს წინასწარმეტყველი შეწყნარებულ თვისსა მამულსაო.

მ. ჯანაშვილი.

ს ა გ უ რ ი მ თ შ ი

თ.დ ი. გ. პავლე პავლის უკანასკნელი ღლვები.

(წერილი არტურ ლეისტის).

21 აგვისტოს მე რომ წაველ საგურამოს, არ ვფიქრობ-დი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი ნახეა ძველის და ძვირ-ფის მეგობრისა, რომ ამ დარბაზობით სამუდამოდ გათავდება უამოერი, ბრწყინვალე, ჩრდილმიუცენებელი მეგობრობა. მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყეებს და ბალ-ვენა-ხებს და მყუდრო სახლი ალერსიანად გამოიყურებოდა მწვანე ცაცხვებისა და ალვისხეებიდამ.

მეგობრულის ალერსით მომევება ილია გრიგოლისძე და ჩვეულებისამებრ მკითხა, რამდენის დღით მოხველიო. ხანმო-კლე სტუმრობა მას არ უყვარდა და ხშირად განზრახულზე მეტ ხანს მიხდებოდა ხოლმე იმასთან დარჩომა.

ცოტა უგემურ გუნებაზე იყო უჩიოდა ჯანმრთელო-ბას და დანალვლიანებული იყო საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდამ მოდენილ ამბებით. მაგრამ მას არ ესიამოვნებო-და ამაების შესახებ ლაპარაკი და ამჯობინებდა კითხვასა ანუ საუბარს იმისთანა საგანზე, რასაც შეეძლო მისი ფიქრები ხა-ოსის სამწუხარო სურათისთვის მოეცილებინა.

საზოგადოდ, მე ვამჩნევდი მას მხნეობის მოკლებას და სი-ბერის ანჩხლინობას, განქარდა აგრეთვე, როგორც მე მეტე-ნებოდა, მისი წინანდელი თანაზიარობაც. ზოგჯერ სალამოო-ბით დიდხანს ხმა ამოულებლივ იჯდა ხოლმე იგი დერეფანში. წინათ ერთ ჩემ მხიარულ სიტყვას შეეძლო მისი გამხიარულე-ბა, მაგრამ ამ ხელად კი ჩემი ცდა ამაო შეიქმნა. ექვსი დღე

დავრჩი საგურამოში და ამღროს განმავლობაში მის სახეზე ღიმილი არ დამინახავს.

— გავიაროთ ცოტი! ვუთხარ მე ერთ სალამოს. გავლა ფრიად სასარგებლოა.

— რაღა იქნება ჩემთვის სასარგებლო, როდესაც დამრჩნია, იქნებ, არა უმეტეს ორის წლის სიცოცხლისა, მიპასუხა დალონებულმა.

დიად, ილია გრიგოლისძეს ვეღარ ვცნობდი. ბუნება აღარ აღფრთოვანებდა მას, საუბარი ვეღარ იყოლიებდა და თითქმის ერთხელაც არ ჩამოუგდია ლაპარაკი მწერლობაზე.

მის გუნების ზეგავლენით მე თვითონაც ვყარგავდი სიმხიარულეს და ვიგონებდი წარსულ დროს და მასთან ერთად ძველ მეგობრის ცხოვლმყოფელ სიმხიარულეს.

ჭოთ, ეს ბრწყინვალე დრონი! ეს ხანგრძლივი ჩვენი საუბარი შესახებ პოეზიისა და შვენიერებისა, საქართველოისა და მის წარსულისა ამ საუბარს, რომელშიაც სტეფანი მისი მდიდარი სული, —როგორ ავწერ მე? რამდენჯერ ჩვენ მსხდარვართ ამ დერეფანში გაზაფხულისა თუ შემოდგომის საკვირველ სალამრებს, როდესაც მთვარის შუქით განათებული ყოფილა ბალი, ტყეები და მთები, როდესაც ამწვანებულს ბალში უგალობნიათ ურიცხვ ბულბულებს, სახლს უკან ბებერ კაკლების ქვეშ უჩიხხჩნია შადრევანს და შორს ულრიალნია მეოსნის საკვარელ არაგვს! დაწყნარებულის, თითქმის ძლევამოსილ ხმით უსაუბრნია მაშინ მას შესახებ ქართველ მეოსნებისა, სახალხო პოეზიისა, გიორგის, შილლერისა, კაცობრიობის განვითარებისა და ყოვლისა, რაიც ლირისა აღამიანის აზრისა და გრძნობისა. მისი ჭკეუ იყო თვითარსებითი, სხვათა აზრების ამწონ-დამწონი, და ესრეთი დამოუკიდებლობა მის სიტყვას ჭიკებდა დიდს ძალასა და სიცხადეს.

ჩემს გულში ყოველთვის დღესასწაული იყო ხოლმე, როდესაც მასთან დავიწყებდი საუბარსა და აზრთა გაზიარებას. მაყრამ არა მარტო მისი მდიდარი პოეტური სული მიმიზიდავა და მე მისდამი. მიზიდავდა აგრეთვე მისი ჰუმანიური მოპყრო-

ბა ყოველ კაცობრიულისადმი. განა ილია ჭავჭავაძის დაწერილი არ არის „კაცია აღამიანი“: და „გლახის ნააშბობი“?

აზრნი და გრძნობანი, რომელთაც უკარნახეს მას ეს ორი მოთხრობა, იყვნენ საფუძვლად მთელის მისის ორმოცდათის წლის საზოგადო მოღვაწეობისა საქართველოში და უკანასკნელ დღეებამდე შეადგენდენ მის ნიშნს. მათვის არ უმტყუნია მას, მაგრამ ბოლო ხანს კი არაერთხელ წარმოუთქვამს სიტყვა „უმაღურობა“.

მეტად გულსატკენია ყველა ამის შესახებ ლაპარაკი.

27-ს აგვისტოს ილია გრიგოლისძე, თავადის მეუღლე თლაბა და მე მის ეტლით წამოვედით ტფილისს. დილა იყო ცისანგიანი და მალე ჩვენი გამომგზავრების შემდეგ დილი წვიმა მოვიდა და რაღან ეტლი დაუხურავი იყო, ჩვენ ყველანი დაკველდით და შევწუხდით სიცივის გამო.

იმ ადგილას, საცა სამის დღის შემდეგ მოხდა ეს შესაზრი მკვლელობა, გზის ორივე მხარეს მიჰყება წვრილიანი.

ტყის ამ სივრცეზე გავლისას უკანასკნელ ხანს ყოველთვის მიგრძნვია რაღაც შიში. მაგრამ ამ ხელად კი მე არავითარ საშიშროებაზე არ ვფიქრობდი, რაღან იღია გრიგოლისძის თანხლება მაშორებდა ფიქრს მის შესახებ. ჩემი ზნეობრივი აზრები განათლებულ ადამიანისა შეუძლებელ პუოფდენ ვისმეს სასიკვდინო ხელი აღემართა წინააღმდეგ მხცვან-მგოლნისა, ქართველ ერის სიამაყისა...

საქართველოს მწერლობის და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის
მოკლე განხილვა.

(წერილი თქმით დანართის უნივერსიტეტის პროფეს. ვ. მორიდიას *).

ქართველების შესახებ უწერია რამდენსამე მოგზაურს, მაგალითებრ, ბ-ნს უან. ბრისს, მაგრამ მათი შვენიერი ქვეყანა მეტად ნაკლებად მოვლილია ინგლისელთა მიერ.

და ეს ქვეყანა კი უტურფესი კუთხეა დედამიწაზედ. იგი სწორედ ღირსია იმ შესხმა-ხოტბისა, რომლითაც შეაქო ბ-ნმა არტურ ლეისტმა ზემოხსენებულს თხზულებაში. მცხოვრებნი ახოვანნი არიან, ერი ღირსია თვისის ქვეყნისა.

ინგლისში თითქმის არა იციან რა ამ ერის ენისა და ლი-ტერატურის შესახებ. მაგრამ უკვე ვხედავთ წინასწარ ნიშნებს იმისას, რომ მალე უკარ გავეცნობით ამ ქვეყანას. ბ-ნ ოლი-ვერ ვარდროპმა, ჩვენმა კერჩელმა ელჩმა მოგვცე თარგმანი ქართველთა შორის გავრცელებულის წიგნისა—„სიბრძნე სი-ცრუე“ სულხან ორბელიანისა; მისმა დამ კიდევ, ქ-ნმა მარ-უორი ვარდროპმა, არა თუ გადმოგვითარგმნა რამდენიმე ქარ-თული ზღაპარი, არამედ აღვითქვა, რომ თვისის სიტყვით გადმოგვცემს „შინაარსს „ვეფხის ტყაოსნისას“, ქართველების საერო ეპოსისას.

ბ-ნ არტურ ლეისტს მეტის-მეტი აღარ უნდა მოვთხო-ვოთ; მან დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას თავისის თხზულებებით. მან გამოსცა აგრეოვე „Armenische Dichter“

*) Journ. royale asiatic society, გვ. 562—566 (გამოც. 1906 წ.)— მორფილის წერილის—სათაურია: „Georgische Dichter“ არტურ ლეის, ტიპისა და „ცარიცა თამარა“ მ.. ჯანაშვილისა.

1898 წ. პირველი გამოცემა დღევანდელ თხზულებისა გამოვიდა 1887 წ. 1889 წ. ავტორმა გადმიობო თხზულება შოთა რუსთაველისა—„ვეფხის ტყაოსანი“.

ეხლა-კი მან გამოაქვეყნა თვისი ანტოლოგის მეორე გამოცემა, რომელშიაც მოუკეცევია ფრიად სასარგებლო განხილვა ქართულის ლიტერატურისა წიგნის წინასიტყვაობაში.

ქართული ენა-კი ჯერ აქამომდის ამიცანად შთება ფილოლოგიებისათვის, მხოლოდ გრაცის პროფესორმა შუხარდმა ეს არის შეივნო იგი და ეცადა გამოერკვია მისი ზმნათა სისტემა, რომელიც ძლიერა ჰგავს ბასეთა ენისას, თუმცადა ამ ენებს საერთო სიტყვები კი სრულიად არა აქვთ.

ქართულ მწერლობას აქვს ორი ანბანი, რომელთაგან ერთს ჰქვიან ხუცური და მეორეს მხედრული.

ბროსეს, ცაგარლისა, ერკერტისა და სხ. შრომათაგან აწ უკვე ვიტით, რომ ქართული, ლაზური, მეგრული და სეანური ფრიად უახლოესი ენებია. არც ერთს ამათგანს, როგორც ლინგვისტიურ გამოკვლევათაგან სჩანს, არავითარი მსგავსება არა აქვს სხვა ენებთან. ამათში სამწერლო ენა არის საკუთრიად ქართული, დანაშთენებს დაუცავთ საერთო სიმრეები, გადმოცემანი და სხ.

დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ თვისს შახმედიან მეზობლებთან, ქართველები ამ საუკუნის დასაწყისს შეუერთდნენ რუსეთს.

ქართულის ლიტერატურის დასაბამი დაიდო მერვე საუკუნეში, ხოლო მის სიბრწყინვალეს ხანად ითვლება მე-XII საუკუნე—მეფობა თამარისა, დიდის ხელმწიფისა, რომელსაც მიეწერება ყოველი აღმატებულება საერთონ. ბატონ ჯანაშვილმა დასწერა მისი ისტორია რუსულს ენაზედ.

ქართულ უძველესს ნაწარმოებთა უმეტეს ნაწილს ემჩნევ ასპარსული გავლენა და ვისაც ჰსურს გაიცნოს ქართველთ ავტორები, ჩვენ ვურჩევთ წაიკითხოს შვენიერი წინასიტყვაობებისტისა, სადაც დიდის მორჭმით აღნუსხულია მრავალი ცნობა.

აწინდელს გამოცემაში კი ბ-ნი ლეისტი საუბრობს მიმავალ მე-XIX საუკუნის პოეტების შესახებ, იმ მგოსნებისა, რომელნიც აღყვავლენ ახალს ხანაში, რუსეთისა და საზოგადოდ დასავლეთის გავლენის ქვეშე. იგი იწყებს გრიგორ ორბელიანიდან დაგან, რომელიც გარდაიცვალა 1883 წელს ლრმად მოხუცებული.

ლექსები და პოემები გვანცვითრებენ თავისის ჰანგით. ამ ტომში ყველა ლექსები ლირიკულია. სიყვარული და ლვინო მათს შინაარსს შეადგენს. სიყვარულსა და ლვინოს ემატება აგრეთვე სამშობლოს სიყვარული, მაგალითებრ, როდესაც ლაპარაკია ერეკლე მეორის შესახებ. დავუმატებთ აგრეთვე, რომ ყველა პოეტის ნაწარმოების წინ ჩამატებულია მოკლე-მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მგოსნების შესახებ.

ყველაზე უშესანიშნავესი, მგონია, აწინდელი დროის პოეტაგანი თავადი იღია ჭავჭავაძეა, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში. იგი — ერთი სახელგანთქმულთაგანი მოქალაქეა ტფილისისა, ფრიად სტუმრის მოყვარე კაცი. იგი პბე-ჭდავს უურნალ „ივერიას“, რომლის ფურცლებზედ ხშირად წაიკითხავთ ვრცელს ცნობებს ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულების შესახებ.

„განდეგილი“ თავ. ჭავჭავაძისა თარგმნილია რუსულადც და აგრეთვე ინგლისურადც, იგი გაღმოილო ქ.ნმა მ. ვარდიშვილმა. ეს, მგონი, პირველი თარგმანია ინგლისურს ენაზედ ქართულის პოემისა.

ჭეშმარიტის სამშობლოს მოყვარეობით გამსჭვალულია სტრიქონები მისის ლექსისა „მტკვრის პირას“:

„კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვერძნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუაილით
შეჭკვნეს მღვრიე ზეირთთ მღერათა დენას“.

ლექსი აქ დიდად შეწყობილად გამოყვანილია მუსიკალურის მხრით.

აწინდელ მგოსანთა ნაწარმოების შემდეგ ბ-ნ ლეისტე ჩაურთავს რამდენიმე სახალხო სიმღერა, რომელთა შორის შესანიშნავია „თამარ მეფის ეპიტაფია“.

შოთა რუსთაველის ნაკვესებს დიდის ხალისით წაიკითხა ვენ და ამის გამო უფრო ღრმად ჩაუკვირდებიან თვით მისს პოემას, საიდგანაც ივინი ამოულია ლეისტეს. ჰემს მკითხველი ლეისტის თარგმანით გაეცნოს „ვეფხის ტყაოსანს“, რომელიც მას გაღმოულია შეგნებულად და მორქმით.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დასავლეთელი მკითხველი დიდად ისიამოვნებს ლეისტის გამოცემის კითხვით. Terra incognita-ს კარები გაედება. ცოცხალი სურათები ქვეყნისა და ისეთისავე შვენიერის საქართველოსი ცოცხალის ერისა თვალწინ წარმოგვიღება, რაწამს გადავშლით ლეისტის წიგნს, მაგრამ ოდესაც განვიხილავთ თვით საამო ნახატებს, ჩართულს თვით ტექსტში, მაშინ ჩვენს აღტაცებას ამ წიგნისაგან საზღვარი აღარ ეძლევა.

გარნა აწინდელნი ქართველნი არა ჰქმარობენ მხოლოდ სამგოსნო განვითარებით.

მათ აქვთ ბევრი შვენიერი ისტორიული და ეტნოლოგიური ნამუშევარიც. სამწუხარითა-კი, რომ ყოველივე ეს დაწერილია ქართულადა ანუ რუსულად, და ამიტომ მათ გაცნობას მოკლებულია ინგლისელი ფილოლოგი. ამათ შორის შეგვიძლიან ვუჩვენთ შემუშავებული ისტორია საქართველოს ლიტერატურისა, შედგენილი პროფ. ხახანაშვილის მიერ რუსულს ენაზედ და აგრეთვე ძვირფასი წერილები იმავე საგნის შესახებ პროფ. მარწისა საერთ განათლების სამინისტროს, უკრნალში.

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ, ქართველთ არქეოლოგმა, თავის მემამულება ყურალდება მიაქცია. იმაზედ, რომ ამ ძველის-ძველ და შვენიერ ქვეყნის ნაშთის იმუსრებიან და საოცრად იკარგებიან. ბაქრაძეს მეცადინეობამ იმოქმედა. მისს თანამოქალაქეებზედ და ბოლოს გაიხსნა საეკლესიო მუზეუმი სიძველეთა დასაცველად.

იგი დაარსდა 27 ივლისს 1888 წელს. მას აქეთ ორ გზის მოჰედა არქეოლოგიური მიმოსვლა და ბოლოს შეიკრიბა დიდ- ძალი რიცხვი სელნაწერებისა და სხ. სიძველეთა, რო- მელნიც მანამდე დაეცვათ მონასტრებში ანუ ინახებოდნენ კერ- ძო კაცთა სახლებში.

მაშინ ეს ნაშთი მიაბარეს დასაცავათ ბ-ნ მ. ჯანა- შვილს *), დაუღალავს არქეოლოგს, რომელმაც თავის კა- ლმით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს. მის მიერ შედგენილი მოკლე ისტორია საქართველოსი — ერთად-ერ- თია, რომელიც მთავრობის მიერ ნება-დართულია სახელ- მძღვანელოდ იმ სასწავლებლებში, სადაც ქართულ ენას ასწავ- ლიან. მასვე უწერია შესახებ ქართველთ ზე-ჩვეულებისა, რო- მელიც სულ მცირედ იყო ცნობილი. აღვნიშნავთ მისსავე წიგნს ქართულ რომანტიკულ მოთხრობის „ამირან-დარეჯანია- ნის“ წყაროების შესახებ. აქაც თავ-გარდასავალი გმიროსან- თა იგეთივე ზათქიანია, ვითარცა საშუალო საუკუნოების რა- ინდებისა. ამ შრომის შესახებ წაერო განათლების სამინისტ- როს უურნალში გამოვიდა მეცნიერული წერილი პროფეს. მარტისა. საკვირველ არს ვეძიოთ გამოძახილი დასავლეთისა ქართულს პოეზიაში!

შოთა რუსთაველი, მსგავსად არიოსტოსი, იყო კეშმარი- ტი „ტრუბადური“. მსგავსებას აქ ის ემატება, რომ შოთა იყო, როგორც ამბობენ, უიმედო მოტრფიალე თამარ მეფისა.

და ყველა ეს სწარმოებდა აზიაში და ისიც მე-XII საუკუ- ნეს!

ამ პოეტის შესახებ ბ-ნ ჯანაშვილმა დასწერა ქართულად მოკლე ამბავი.

ამ გვარად ლირსეული გამგე მუზეუმისა, დასავლეთის მე- ცნიერების დიდად საბედნიეროდ იკვლევდა თავისის ქვეყნის

*) აქ ავტორი სცდება: მუზეუმის გამგედ მ. ჯანაშვილი დაინიშნა 10 აპრ. 1898 წელს, მანამდე-კი მას განაგებლენენ ეპისკოპოსი ლეონიდი (4 მაისს 1897 წ.) და თ. კონდანია (1888—1897 წწ.).

ისტორიასა, ეტნოლოგიასა და ლიტერატურას. იგი გვესაუბრებოდა ჩვენ. საქართველოს ეკლესიისა და თვისთა გვარტომთ ჩვეულებაზე. მისს უკანასკნელ შრომათა შორის არის მოკლე მოთხოვა საქართველოს ლიტერატურის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი უკვე გამოიცა. ვუსურვებთ ბ-ნს ჯანაშვილს ყოველს წარმატებას. მისს სასარგებლო და სამეცნიერო შრომაში *).

შეიძლება დაღის დრო, როდესაც ინგლისში უფრო მეტს ურადდებას მიაჰერობენ ამ შესანიშნავს ერს, ბეჭისერს, თავისუფლების მოუფარეს, ერს, რომელმაც მრავალ საუკუნეს იძროდა თვისთა მთა-გორათა შორის, და ამაფობს თავასის ნაადრევ ქრისტიანობით, რომელიც მიიღო მე-IV საუკუნეში ქრ. შემდეგ.

ბოლდინ ან. ციონგლინსკი.

*) ამ ქებისებრ ნაწყვეტს ჩვენ შესახებ ვბეჭდავთ მხოლოდ მისთვის, რომ არ დაირღვეს მთლიანობა პატივცემულ ინგლისელ აეტორის წერილისა.

ურბნისის ქახარება

ტიშენდორფისეულ მეთხე საუკ. სახარებასთან შედარებით.

შართლდება ჩვენი წინასწარგრძნობა... შესახებ ქართ. წიგნების თარგმნის პირვანდელ გზა-კვალისა, შესახებ ქართ. ანბანის შემოღებისა წარმართობის დროსვე.

ამის უტყუარ საბუთს გვაძლევს ტყავზედ დაწერილი ურბნისის სახარება და აგრეთვე რამდენიმე სხვა სახარება, ჩვენ მიერ განხილული, შედარებული, შესწავლილი.

ურბნისის სახარების გაღმოწერას მოუნდა სამი თვე— ივნისი-ივლისი-აგვისტო, 400-მდე საათი. სულ გამოვიდა 444 კაბალონი, ე. ი. იმდენი, რამდენიც არის თვით დედანში, რომლიდამ 2 ფურცელი დაკარგულა.

დედანი გადაწერილია იოვანე ტატანელის მიერ ასომთავა რულით და დაფერადებულია შევნიერ ასომთავრულებითვე, რომელთა გამოხატულებას აქვს იდეოგრაფიული, ფიგურალური მნიშვნელობა. მაგალ., ასოებს ფარ, ქან, დონ, თან, ტარ, კარ, და სხ. აქვთ შესაფერი სახე ფარისა, ქანქაშისა, თავისა (მეგრ. ლული), თვალისა, ფარისა, კარისა. ამისთანა მხატვრული წერა ადრევე იცოდა ხალხოსნობამ და მისგან განვითარდა თვით ანბანიც.

დედნის თავში ჩინებულად მოხატული კამარებია და მათში ნაჩვენებია სახარების. ადგილები, „რომელსაც იტყვის“: ა) 4 მახარებელი, ბ) 3 მახარებელი, გ) 2 მახარებელი და დ) 1 მახარებელი.

სახარება წარმოადგენს მხოლოდ ოთხთავს. (მათე, მარ-

კოზ, ლუკა, ოოვანე) და ყოველის თავის წინ ნუსხა-ხუცურით ჩამოთვლილია, თუ რასა და რაზედ მოგვითხრობს მახარებელი.

სახარების აშენებზე სხვა და სხვა პირთა მინაწერებია, რიცხვით სულ 110, რომელიც აგრეთვე უკლებლივ გაღმოიწერა. მათში მოხსენებულია მრავალი ცნობილი გვარები, მეტადრე ისინი, რომელნიც მკვიდრობდნენ მესხეთში, მაგალი, ბევრჯერ მოხსენებულია კავკასიძე, თაქთაქისძე, ამატაკისძე, ხურუიძე, შალიკაშვილი, ლასურიძე და სხ. მოხსენებულნია აგრეთვე „კელმწიფის შვილი როსაფატი“ და მისი მეუღლე თამარ“, ბატონი ხუარმზე, ქუთათელ მთავარებისკოპოსი ჩხეტიძე, ბატონი ლოვარსაფ და ქმა მისი რამზე, პატრონი დავით(!) და მეუღლე მისი დედოფალი ქეთაონ და ქენი მათნი, ვილაც ან ლრონიკე, მეფის ასული ელენე ყოფილი ეკატირინე, ბელიელ მთავარებისკ. ანტონი ჭვანიძე და სხ. მეტად საყურადღებოა შემდეგი მინაწერი: „წელსა ჩდეს (=1798), რომელსა (!). ვცხოვრებდი მე მდაბალი ეპისკოპოსი გრიგოლ ხარქაშნელი ქალაქსა შინა ასტრახანს და მას უამსა შინა. ეს წმინდა სახარება დავსდევ ასტრახანის წიგნის საცავში და ვინცა იხილოთ მოხსენებასა ჰყოფდეთ ჩემთვის“.

ვინ მოიტანა ეს საუნჯე ასტრახნიდამ საქართველოში, არა სჩანს, ხოლო მინაწერი. მისს მეხუთე გვერდზე გვაუწყებს ამ მოკლე ცნობას: „ეს სახარება შევსწირე გორის უეზდის სოფლის ურნისის სობოროსა წმინდა სტეფანესა მღუდელმა რაჭდენ მცხვედაძემ“.

რაღა თქმა უნდა, ეს „მღუდელი“ ეპ. ხარქაშნელის მომდევნო დროის მცხოვრები იქნებოდა, სახელდობრ იმ დროისა, როდესაც ხმარებაში შემოვიდა იმ გვარი, სიტუკები, ვით „უეზდი“, „სობორო“.

ურბნისიდამ 1889 წ. იგი და ბაქრაძემ მოიტანა „ტფილისს და გადასცა საეკლესიო მუზეუმს, რომელიც დაარსდა 1888 წ. 15 ივლისს. იმავე დროს ბაქრაძემ ტფილის მოიტანა ურბნისის სახარებაზე უფრო ძველი ხელნაწერი — ქსნის სახარება; ორთავე ამ წიგნების შესახებ მანვე დასწერა (ქართუ-

ლად და ორსულად) ვრცელი გამოკვლევა, მაგრამ ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა და ეხლა არა სჩანს, თუ სად არის და ვის აქვს ქინის სახარება. თავის „სკართ. ისტორიაში“ (გვ. 174) ბაქრაძე სწერს: „აქ დავძენთ, რომ ახლა ორივე ოთხთავი „ქინისაცა“ და „ურბნისისაც“ მსურველს შეუძლიან განიხილოს ახლად ტრილისის სიონის ეზოში დაარსებულს საეკლესიო არქეოლოგიურს მუზეუმში“. თუმცა ასრქ სწერს განსვენებული, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქინის სახარებას არასღროს არ უხილავს საეკლესიო მუზეუმის მიღამო, რადგან მისს დავთრებში ის არსად არ არჩს გოხსენებული. პირიქით, თავის გარდაცვალების წინახანს ბაქრაძეს ჩვენ თვის არაერთხელ უთქვამს შემდეგი: „ორი ძვირფასი საუნჯე გვაქვს — ქინისა და ურბნისის სახარებები და ორიც დაწესებულება — წერაკითხევისა და საეკლესიო წიგნთსაცავები. ამიტომაც ერთი საუნჯეთაგანი — ქინის სახარება — გადავეცი წერაკითხევის საზოგადოებას, ხოლო მეორე — ურბნისისა — საეკლესიო მუზეუმს“. ეს სიტყვები მე ნათლად მახსოვს და დღემდის დარწმუნებული ვიყავი, რომ ქინის სახარება წ. კ. წიგნთსაცავში იყო. მაგრამ იქაც არ აღმოჩნდა. ამიტომაც ვფიქრობთ ქინის სახარება ჯერ ისევ მის გადაცემამდე ამა თუ იმ წ.-საცავისთვის უნდა წალებულიყოს ან მუზეუმის კომიტეტის წევრისაგან, ან ვინმე კყრძო პირისაგან, რომელთანაც დღემდე ჩეხება, რაღა თქმა უნდა, არა ანგარებისა და მითვისების მიზეზით, არამედ მხოლოდ სამეცნიერო კვლევა-ძეების დაუსრულებლობისა თუ ქართველურ დაუდევრობის გამო. ვერ წარმოგვიდგენია, შესაძლებელი იყოს ამ ძვირფას და საეროვნო ძეგლის დაკარგვა.. ვისაც აქვს, აღარ დააყოვნებს და გადასცემს კუთვნილებისამბრ.

ვიდრე გავიცნობდეთ ურბნისის სახარების შინაგან დირსებას, საჭიროა ვთქვათ ორიოდე სიტყვა შესახებ ამ სახარების თარიღისა.

უკანასკნელი გვერდი (444) თავდება ამ სიტყვებით:

„დიდებაც შენდა სამებაო წმიდაო, რომელმან მომშადღე მე იოვა ნე ტატანელსა და დავწერ წმიდაო ესე ოთხთავი

სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა და სულთა-
თვს შშობელთა და ძმათა და დათა და ყოველთა გარდა-
ცვალებულთა ჩემთასა. აწ ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვა
ყავთ ჩუენთვს. ამინ. დასაბამითგან ხრი“.

წიგნის თავს (გვ. 5) კიდევ სწერია: „იქსუ ქრისტი, შე-
იწყალე იოვანე ტატანელი და მოიკენე სული მისი. ამინ.
დასაბამითგან ხრი“.

ორთავე ადგილას წარწერილი ქორონიკონი ხრი უდრის
602 წელს ბერძნულ ანგარიშით და 506 წელს ქართულ ან-
გარიშით. ბაქრაძემ ეს წლები მიიღო ურბნ. სახარების დაწე-
რის წლად. მას უკიუინეს, მაგ დროის ვერ იქნება ეგ სახარე-
ბაო, სხვა რომ არა იყოს-რა, თვით თარიღებიც ხრი ორთავე
ადგილას მერმენდელის ხელით წარწერილია და არა დედნის
ხელითაო და, ამას გარდა, ქართულ ხელნაწერებზე თარიღი
მედამ ერთს ადგილას აღინიშნება ხოლმეო: ბოლოში და არა
თავსა და ბოლოშით.

ესრეთი კიუინი უსაფუძვლოა. ტატანელის ნაშრომსაც
თარიღი ერთგან ჰქონია—ბოლოში. წიგნი მეშვიდე გვერდი-
დამ ბოლომდე დაწერილია ერთის ხელით, ხოლო პირველი-
დამ მეექვემდე—მეორით. ამ უკანასკნელ ექვსის გვერდის ეტ-
რაციც გამოქნილობითა და სიკეთით უფრო მდარეა სახარების.
დანარჩენ კაბადონების ეტრატზე. გამოუცდელი თვალიც კი
შენიშნავს, რომ სსენებული სამი ფურცელი სახარების თავს
ჩაუკერებიათ მერმენდელ დროს და ამავე დროს იმ ჩაკერებუ-
ლის მეხუთე კაბადონის კამარაში ჩაუწერიათ ზემოაღნიშნული
თარიღი ხრი, მიხედვისამებრ წიგნის ბოლო გვერდის თარი-
ღისა, რომელიც მაშინაც საკაოდ გადალეული ყოფილა და
რომელიც აგრეთვე განუახლებია. (მისქვეშ მიუწერია: „დასაბა-
მითგან ხრი“). ჩვენს ამ განმარტებას ამტკიცებს ისიც, რომ
ბოლოს გაახლებული და მეხუთე კამარაში ჩაწერილი თარი-
ღები და აგრეთვე ყველა კამარების ნაწერი შესრულებულია
ერთის ხელით და ერთის მელნით, დედნის ხელისა და მელ-
ნისაგან განსხვავებულით. აქ თუ ეკიუინება ბაქრაძეს რამ,

ეკიუინება ის, რომ იგი, სხვათა შორის, სწერს ქართ. ხუცური ნუსხური წარმოსდგათ ასო-მთავრულ ანბანით მე-X—XI საუკუნეში, და ამ მის მიერ შექვეშე საუკ. წიგნად გამოცხადებულს ურბნისის სახარებაში კი ორთავე ანბანი — ასომთავრული და ნუსხურს ეცური გვესახება ფრიად განვითარებულ ხელად!

ჩვენ ვერ დავიუინებთ, რომ ურბნ. სახარება იყოს გადაწერილი სწორედ 602 წელს ან და 506 წელს, როგორც გადაქრით ამბობს თ. ეორდანია (Opis., გვ. 21) და ტარანელსაც სწორედ ამ დროს ეცხოვოს. წიგნი რომ უუძველეს დროის ნამუშევარია და ნათარგმნი, ამას ამტკიცებს მისი შინაარსი, ხოლო დაუჯერებელი არც ისაა, რომ ტარანელის IX—X საუკ. სახარება იყოს პირი 602 წელს ძველის დედნიდამ სიტყვა-სიტყვით გადაწერილის სახარებისა.

გადავდივარ ტექსტზე.

მაგრამ ვიდრე გავიცნობდეთ ამ ტექსტს, საჭიროა გავითვალისწინოთ დრო და მიზეზი, როდისაც და რისთვისაც დაიწერა ეს თუ ის თოხთავთაგანი.

სახარება (სახარება) არის სწორი თარგმანი ბერძნულ ეპანგელიისა. პირველი მისი „თავი“ დაწერა მათე პალესტინას უბრალ ენაზე მერვე წელს ქრისტეს ამაღლების შემდეგ ებრაელ ქრისტიანთათვის საუწყებლად, რომ ქრისტე არის ოღონებული მესსია. მისი ნაწერი ბერძნულად თარგმნაო მოციქულმა იაკობ ალფესმა. მარკოზის სახარება დაწერილია რომში 60 წ. ქრ. აქეთ დასამტკიცებლად იმისა, რომ ქრისტე მფლობელია ბუნებისა და ზენარი მეუფე მსოფლიოს. ლუკას „თავი“ დაწერილია მაკედონიაში ურწმუნოთა გამრავლების გამო რომაელთა მოხელის თეოფილესადმი. ეს ის პირია, რომელსაც მიჰმართავს მახარებელი (ლუკა 1,3) სიტყვიბით: „მხნეო ღვთის მოყვარეო თეოფილე“ (უნბ! სახარება-სა და № 405. ში გამოტოვებულია თუთილე). და მოლოს მახარებელის იოანეს სახარება დაიწერა მის სიკვდილის ორის წლის წინად ეფესოს განსაქიქებლად კერინთის, ბალენტინის და ევიანიტების ცრლ სწავლისა. ამას დაემატა „საქმე მოციქულ-

თა“, ეპისტოლები და გამოცხადება, ითანები და ყცელა; ამათ შეადგინეს ერთი წიგნი—სახარება ანუ ახალი აღთქმა, რომ მელიც მიღებულ იქმნა პირველად 393 წელს პიპორეგიას. კრებაზე, ხოლო შემდეგ კართველენს 397 წელს დამტომში 494 წელს. უუძველესი და უშესანიშნავესი ხელნაწერები ეკუთნიან IV საუკ., და იგინი არიან ალექსანდრისის კოდექსი (codex alexandrinus), ვატიკანის კოდექსი (codex vaticanicus), კოდექტრაემი, (კ. Augustinus-i), კანტაბრიიგენისა — ბედისი (c. Cantiabrigensis) და სხ. შესანიშნავია აფრეთვე ლათინური ჩვეულებრივი ბიბლია — ეულგატა, ძველ ასურული პეშიტო, დამყაორებული ძველ ებრაულ ტესტიზ. 1859 წ. ტიშენდორფმა მოიმგზავრა სინა, საცა იპოვნა IV საუკ. ბიბლია, რომელიც მნიშვნელობით არ დაუვარდება ლონდონის და ვატიკანის უუძველეს ხელნაწერებს. მან ეს ბერძნული ხელნაწერი უკვე დაბეჭდა. მისი გამოცემული სახარება უკვე ჩვენ ხელში გვაქვს.

საქართველო-სომხეთის საქრისტიანო ხანას დასაწყისი საოც უკუნოები ჯერ ბნელით მოცულია. არ არის გამორკვეული ის გზა-კვალი, რომლიდამ წარმოიძინა საქართველოსკენ. ქრისტიანობაში, რომლიდამ მოდიოდენ ჩვენ კენ თარგმნილი. წიგნები ანუ მიღი-მოდიოდნენ თვით მთარგმნელები. ზოგიერთის მსჯელობით ამგვარ გზად უნდა ყოფილიყო ასურეთ-სომხეთი ანუ მარტო ეს უკანასკნელი. ზოგი რამ მოვლენა, მაგალ., ნინოს გამომგზავრება სომხეთიდამ, ერთის წყაროს მიერ გრიგოლ პართველის მოხსენება ქართველთ განმანათლებლადაც, თითქო, ხსენებულ აზრს ამართლებს, მაგრამ მარტო ეს არა კმარა გადასაწყვეტიდ აღნიშნულის დიდის კითხვისა. წმ. ნინოს მოსვლა სომხეთით შემთხვევითი საქმე იყო, კაპადოკიაში, ქართველობის ამ დედაბუდეში, აღზრდილ გრიგოლის „ჩვენ განმანათლებლად“ სახელდებაც არ არის გასაკვირი; მით უმეტეს, რომ იგი ასრუ წოდემულია სომხის ქალის შუშანიკის ცხოვრებაში. რაიც შეეხება იმას, რომ, ვითომ, ქართველებმა ბერძნულიდამ თარგმნა იწყეს. პირველად მე-IX — X საუკუნოებიდამ ანუ VIII-დამ და მანამდე თარგმნიდნენ მარ-

ტო სომხურიდამ, ამ უკანასკნელ ნათარგმნებს ქართველ—
სომეთა სამღვდელოებას შორის აპტყდარ განხეთქოლების გა-
მო ქართველები შლილნენ, ასპამბდნენ, რომ ქართ. ბიძლის
თარგმნა სომხურიდამ და არა ბერძნულიდამ, სხვა წყაროების
უქონლობის გამო, შეიძლება დამტკიცდეს, თვით ქართ. წყარ
როებიდამცე, რომ, უითომ, ამის სასარგებლოდ ღალადებდეს
ა) სომხური ფოტმები ესაკუთარ სახელებისა, ბ) მრავალი სომ-
ხური სიტყვა, უცვლელად გადმოტანილი სომხურ ტექსტიდამ
გ) სომხურ კილოის ფრაზები და დ) სომხურ ვარიანტების
გადმოდება,— ვიმეორებ ყოველი და ყველა ეს მარტო ცარიელ
სიტყვაობაა, რეალურ, მტკიცე საბუთების. მოყვანა თითქმ
ყველას ეზარება, არავის, აწუხებს. ორიოდე; ვითომ, სომხუ-
რი სიტყვა, ამოკითხული; ამა თუ იმ ქართულ წიგნში, საკმა-
ოა იგი წიგნი გადაიდოს ჩვენ ბერძნიერ მეზობლებისათვის.
გინდ ეს სიტყვები იყოს ისეთი, მაგ., ვით ქართული ვება
(=ვება), რომლის მნიშვნელობას ვტყობილობთ თუნდა და-
ჩისმიერ ანტონი მროველ ეპისკოპოზისაღმი მიწერილ წერი-
ლით: „, რათა განვერე მე ვეპთა-მათგან საშინელთა“ . მის მსგავ-
სია სომხურში დარჩენილი ვებ, რომლის ნამდვილი მნიშვნე-
ლობა არც სახელოვან არმენისტ ემინმა იცის და, როგორც
იგივე ავტორი ირწმუნება, მისი ნამდვილი აზრი არც ვენე-
ციაში გამოცემულ სომხურ აკადემიურ ლექსიკონის ავტო-
რებმა უწყიან. დღეს ჩვენ კი გვეცვნებიან ვები სომხების სიტ-
ყვაა! ამისთანა მაგალითებით, ვიმეორებ, ფონს ვერ გავალთ,
მით უმეტეს, რომ „, სომხურ ენაში“, როგორც გვარწმუნებს სა-
ხელოვანი ნ. მარრი, „არის შესამჩნევი. ნალეკი, მონათესავე
ქართულისა“ .

უსაფუძვლოა, რადა თქმა უნდა, კიუინი, რომ, ვითომ, ძველი
ქართველები სომხურიდამ ნათარგმნ წიგნებიდამ შლილნენ „სომ-
ხურ“ სიტყვებს. ეს პირდაპირ ქართველობის დაბეჭდებაა გა-
ნათლებულ კაცობრიობის წინაშე. და იგეთივე ღალადებაა, ვი-
თარიც გაისმოდა ეხლახანს შესახებ ქართულ ძველ ტაძრებს
წარწერების შლისა და მათ მაგიერ სომხურების დაწერისა!

913 წელს გადაწერილ ქართ. სახარებაში წაუშლიათო ქანქარ, სომხური ფორმა ასურულ სიტყვისა ქაქრა, და წაუწერიათო ბერძნ. ტალანტი, მათეს სახარების მეხუთე თ. მე-26 მუხლში 913 სახარებისა ბერძნულ კოდრანტის მაგირ არისო „დანგი-სა კოტორი“ და ეს კოტორი არისო სომხური სიტყვა და ნიკ შნავსო ნაჭერს, თუმცადა საყურადღებოა, რომ სომხურ სახარების ამავე მუხლში გვხვდებათ სულ სხვა სიტყვა—ნაქარაკატ, რომელიც უნდა მივიჩნიოთ მერმენდელ სომხურ კორეკტურულ ცვლილებად.

ყველა ამის უმართლობა ცხადდება თავისთავად. ძველი წიგნებიდამ მერმენდელი ქართველები შლილნენ არა თუ მარტი „სომხურ“ სიტყვებს, არამედ ბევრ სხვა წმ. ქართ. სიტყვებსაც, რომლებიც ახალი დროის ერისათვის გაუგებარი ხდებოდენ ან და ბერძნულ თუ სხვა ხალხების სახარებათა ტექსტის თანასწორ აზრს არ ხატავდნენ (იხ. ქვემო). არა სჩანს აგრეთვე ქანქარი სახელდობრ რად უნდა იყოს სომხური ფორმა ასურულ ქაქრასი ან და კოტორი რად უნდა იყოს სწორედ სომხური სიტყვა. ბერძნული „კოდრანტი“ ქართ. სახარებებში გვხვდება ნაირნაირად: კოდრანტი, კონდრატი, კუდრანტე, კოდრატი, კოტორი. იგივე სიტყვა იცვლება ბერძნულშიაც, მაგალ., კორიდეთის. სახარებაში კონდრანტად სწერია. თუ ხსენებულ მუხლში კოტორი არ ჩავთვალეთ ბერძნ. კოდრანტის ცვლილებად, მაშინ იგი უნდა მივიღოთ ძველ ქართულ სიტყვად კოტორი=კოდრანტა—ნაჭერი, ანაჭერი, ნამუსრი, ნამცეცი პაწაწინა, პატარა. ასრეც იხმარება დღესაც სვანურში: კოტოლ—პატარა, კოტოლიდ—პაწაწია, პაწია. სწორეთ ამ აზრით ნახმარია ეს სიტყვა ყველგან, მაგალ., მცხეთის დაბადებაში: „მომართუ მე კოტორი ერთი პურიცა ეკლითა შენითა“ (პ მეფეთა, 17, 11). საკვირველი ის არის, რომ სწორედ ამავე მუხლში (პ მეფე., 7, 11) სომხურ დაბადებისა კოტორის მაგირ გვხვდება ქართ. პატარ(ა) ნაჭრის მნიშვნელობით („ხნდრებ ინდ ჰამარ მი პატარ ელ პაც ბერ ძერქიდ“ (ბიბლ. საზ. გამოც.) კოტორი არ არის. აგრე-

თვე სომხ. სახარებაში და მის მაგიერ იკითხება ნაქარაკიტ (მათ 5, 26). „დანგის კოტორი“ მართლაც არის სულ პაშია, „უკანასკნელი“ კოდრანტი, ვინაითგან კოდრანტი უდრის რომაულ ასსის $\frac{1}{4}$ -ს, ხოლო ერთი დანგი იწონს 3 კერატს, კერატი კი ქრთილის 4-ის მარცვლის წონაა (საბათი) ან $\frac{1}{6}$ სკრუპულისა (ბერძნ.-რუს. ლექსიკ. სინაისკისა, გამოც. 1869 წ.).

ურბნისისა, 913 წლ. სახარებასა და სხ. წიგნებში თუ კოტორი სომხურია, მის შორიახლო დაწერილი „სტამნების“ ხომ ან ძეველი ქართულია, რაღვან დღესაც იხმარება სვანურ-ში (სტამნა — თიბის ჭურჭელი, გოზაური) ან ბერძნული — „სტამნოს“, რომელსაც სომხურში ვკითხულობთ სტამნოცად და არა სტამნოცად (მარკ. 7, 8).

ესეც რომ არ იყოს, სომხურ სიტყვის ქართ. წიგნში არ-სებობა მაინცა და მაინც არ ამტკიცებს ამ წიგნის სწორეთ სომხურიდამ თარგმნას, ისე არა, ვით მრავალი „გაქართველებული“ ევროპიული სიტყვა ვერ ამტკიცებს გინდ ილია ჭავჭავაძის თხზულებების ევროპიულ ენებიდამ თარგმნას.

ხუთი, ათი გინდ ასი, ვითომ, სომხური სიტყვა როგორ გაღისხის თავისკენ სასწორს, როდესაც სასწორის მეორე თვალზედ იმავე „სომხურიდამ ნათარგმნ წიგნიდამ“ გადმოიღება ხუთასსა და ათასზედაც მეტი ბერძნული სიტყვა, ბერძნულ კი-ლოზედ გაწყობილი ფრაზა.

არც დ. ბაქრაძის საბუთებით მტკიცდება ურბნისას სახარების სომხურიდამ გადმოღება თუ თარგმნა.

აბა რა დასაჯერებელია, მაგალ., ვითომ პეროინ, იოსეფ, იოვანე, ნოვე, რახძი, ვინძი, კაფარნაუმ, პარაკად ან და-მუნთქუესვე, მეყსეულად, განეშოვრა, მიეგებვოდა და სხ. „უჩვენებდეს სომხურ კვალს“ ქართულ სახარებაში!

შერთინ არის ზმნა, წარმოებული ქართ. სიტყვიდამ პერი — ქაფი, დუჯი, დორბლი. ასრევე იხმარება ეს სიტყვა სვანურ-ში (პერ), ინგილოურში (ნეპერ), და სახარებაშიც (ლუკა, 9, 9) იმავე აზრით არის ნახმარი. მას უდრის ბერძნ. აფ-

როს — ქაფი, სომხ. ფრთულ — ქაფს. პეროინ = პეროის = იდუ-
ჯების.

შპრიკად წაზმოსდგება იმ ძირიდამ, რომლიდამაც გვაქვს
ქართ. პრაკა-პრუკი, პრაკტოკი, პრაკუნი — და ნიშნავს ჩქარ
სიარულს, ბაკიბუკით სწრაფ სვლას. მას შეიძლება უდრიდეს
სომხ. პაპაკ, პადიკ, რომელსაც პატკანოვი ცკიროხიდა-ად თარ-
გმნის (Извл. о сост. арм. языка, 12).

ვინის ჩამატება და გამოკლება ხომ ქართ. ენის კანონია:
არი — ვორი, ცხოვრება — ცხორება, პოვა — პოა, წერვა — წე-
რა, შოვნა — შოვა — შოა, არა — ვარა.

რაც შეეხება საკუთარ სახელებს, აქ კი ცხადი გაქიანუ-
რებაა, როდესაც ამტკიცებენ, რომ ეს სახელები ქართ. და
სომხ. ენებში ერთი და იგივე არისო!

კაფარნაუშის შესახებ დ. ბაქრაძე ამბობს: „კაპერნაუმ
ქსნისაშიაკ და უჩბნისისაშიაც ყოველთვის იწერება „კაფარ-
ნაუმ“. ეს ფორმა არ იცის არც გიორგის ვარიანტა, არც
ლათინურმა; არც ბერძნულმა და არც სლავიანურმა. იგი სომ=
ხური ფორმაა“ (ისტორ., გვ. 172). სრული შეცდომა! ძველ
ბერძნულში, ლათინურში, ტიშენდორფის გამოცემულში და
სხ. ყველგან იხმარება კაფარნაუმი და არა კაპერნაუმ. მხო-
ლოდ ბერძნულ კორიდეთის მეცხრე საუკ. სახარებაში, რომე-
ლიც ეკუთვნის ჩვენს საეკლესიო მუზეუმს, ორიოდეჯერ იხ-
მარება კაპერნაუმ კაფარნაუმის მაგიერ. რაც ქართ. ათონის-
წინადართული სახარებებია, თითქმის ყველგან გვხდება. აგრ-
ძეთვე კაფარნაუმ.

ქართ. სახარების სომხურიდაში თარგმნის ნიშნებად ხადიან
აგრეტვე იმას; რომ ქართ. ძველ სახარებაში, ვით ძველ სომ-
ხურებში, არ არისო ზოგიერთი აღგილები, მაგალ., მარკოზის
სახარების მე-16 თავის მეორე ნახევარი (9—20 მუხ.), ითა-
ნეს სახარების მე-8 თავის 1—11 მუხლები. მაგრამ ეს განა
მარტო ქართულ-სომხურებში შეინიშნება! ჩამოვთლილზედაც
მეტი აკლია ქსნისას, უჩბნისისას, ტიშენდორფებისა, კორი-
დეთისას და სხ. (იხ. ქვემო).

ჯერ ისევ 1900 წელს ქართველ-სომეხთა სამწერლო ურ-
თიერთობის შესახებ ვამბოდით („მწერლობა“, გვ. 56): „მე-
ზომლად მცხოვრები ერები ველურები იქნებოდნენ, რომ ერ-
თმანეთისაგან არა ესესწნათ-რა, არა გაღმოელოთ-რა. თუ ქარ-
თველები სთარგმნიდნენ სომხურიდამაც საჭირო წიგნებს, ქე-
ბად ჩაეთვლებათ“... ამასვე ვიმეორებთ დღესაც, მაგრამ არ
გვჯერა, რომ იერუსალიმიდამ მოსულ ნინოს იქ არ გაეცნო,
ზედმიწევნით არ შეესწავლა ბერძნული სახარება და ამ სახა-
რების თარგმნისთვის არ ეზრუნა საქართველოს მოქცევის შემ-
დეგ, რომ საბერძნეთიდამ ქრისტიანობისა და აგრეთვე სა-
სულიერო იერარქიის მიმღებ ერს სახარებაც ბერძნებიდამ
არ მიეღო და ეს სახარება თავის ენაზე არ ეთარგმნა ბერძნულ
საერთაშორისო და სამეცნიერო ენიდამ, არამედ სომხურიდამ,
ენიდამ იმ ერისა, რომელსაც ბერძნ-ქართველთა მსოფლიოშ
ადრიდგანვე დაუწყო ბრძოლა, ომგორც „მწვალებლობის“
მომხრეს და გამალივებელს. ჩაღა თქმა უნდა, ჩვენ აქ გვალა-
პარაკებს მხოლოდ ერთადერთი სურვილი: დროით გამოიჩ-
კვეს ყოვლის გამათანასწორებელი და მომრიგებელი კეშმარი-
ტება, თორებ სომხის დიდ ერს ჩვენ ისეც ლრმად პატივს-
ვცემთ მის საკირველ სიმხნეებისა, სიმედგრისა, მომჭირნეობი-
სა და წარმატებისადმი მისწრაფებისათვის. პირად ჩვენთვის სულ
ერთია, რომელი ენიდამაც უნდა იყოს დათარგმნილი თავდა-
პირებანდელი ქართ. წიგნები სახარებითურთ. თარგმანი თარ-
გმანია, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ კულტურის ისტო-
რიისთვის ამ კითხვის სწორ გადაწყვეტას პირველ ხარისხოვა-
ნი მნიშვნელობა აქვს... ეს ცხადზედ უცხადესია, და მისი გა-
დაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ბლობა ტექსტების მოგროვე-
ბით და ისიც მიუდგომლად, წმინდა მეცნიერებისთვის მსა-
ხურების სურვილით.

აწ გავეცნოთ მცირე ნაწილს. გმირ შედარებით მასალისას,
სომელიც ჩვენ შემოვკრიბეთ აუარებელ რიცხვად. ხოლო წინ
დაწინვე დავისხმოთ, რომ ბერძნულ და სომხურ სიტყვებს
ჩვენ ამგზობისას ვწერთ ქართ. ასოებით: ჩვეულებრივ მკითხვე-

ლის სიმარჯვისთვის და იმისთვისაც, რომ, საზოგადოდ, არ თანაუგრძნობთ წერილის აქტელებას გარმიანულ ანბანით გარმიანულ სიტყვების დაწერით: მდაბიონი ვერ წაიკითხავენ, მეცნიერებმა კი უიმისოდაც უნდა იცოდნენ ხსენებულ სიტყვების მართლწერა.

ურბნისის სახარების ტექსტის შესწავლა-შედარების დროს ჩვენ ხელში გვქონდა 1876 წ. სტეფ. მელიქიშვილის მიერ გამოცემული ქართ. სახარება, ხოლო სხვა ხელნაწერ სახარებებისა ბიბლიურ საზ. გამოცემული სააარებები.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ხელნაწერ სახარებათაგან ურბნისის სახარების უახლოესი ანუ თითქმის პირი არის წ. კ. საზ. ხელნაწერი სახარება № 405, დაფურცლილ დაფანტული და დაკლებული, მაგრამ მაგარს ტყავზედ ვინმე გაბრიელის მიერ (გვ. 38) შვენიერ ასომთავრულით დაწერილი. ამასა და ურბ. სახარებას შორის ის განსხვავებაა, რომ აქა-იქ ფრაზები, სიტყვები და მართლწერა განსხვავებულია. აქ გვხვდება შაბათი და შაფათი, იოსები და იოსეფი, ისეარიოტელი და სეარიოტელი, კუდრანტე და კოდრანტი, სამპყრობილე=ურბნ. საპყრობილე, ძალგისხენ=ურბ. ძალგიც=ბეჭდ გრცნობიეს (მათე 16, ყ), არიედ=არიან=ბეჭდ. იყვნიან (12, 5), მრთელად ყრუე=ურბ. მრთელად ყრუი=ბეჭდ. ყრუ (9, 33), ურბ. და № 405—ეშმაკო (ბეჭდ. სატანა), სული (ბეჭ. თავი), თოვლი (ბეჭდ. ნათელი: მათე, 17, 2), სიძისა და რძლისა (ბეჭდ. საძისა. იქვე 25, 1), ქანქარი (ბეჭდ. ტალანტი); ვნებად (ბეჭდ. პასქა). პურის ჭამალმდე (ლუკა 11, 38)—სადილობალმდე, სეფეკაცია (12, 58)—მეხარკესა, სეფეკაცმან (იქვე)—მეხარკემან, ოცდაათეული (16, 7)—სათოველი (ბეჭდ.), ბიჭისაგან (იქვე, 21)—ნამუსრევისაგან (ბეჭდ.), ლოდი ფქვილისაც (17)—ლოდი ვირით საფუქულელი. საქუთფე=ურბნ. საქუთბე=ბიბლ. გამოც. საფუქთე=მელიქ. გამოც. საქუთოე =ბერძნ. ბალანტიონ=სომხ. ქსაკ (ეს ქსაკ არის არაბული სიტყვა, რომელიც შემოვიდოდა სომხეთში არა ადრე VII—VIII საუკ.). ამით ვათავებ ჯერჯერობით გაბრიელის მიერ გადაწერილ ხელნაწერზე (№ 405) ლაპარაკს:

ურბნისძის სახარების ტექსტს შევუდარეთ აგრეთვე საკლესიო მუ-
ზეუმის ტყავზე დაწერილ სახარების (№ 18) ტექსტი. მის 149 კაბალონზე
კითხულობთ: „დიდებად შენდა სამებაო წმიდაო, რომელმან ლირს მყავ
განსრულებად წმიდისა ამის სახარებისაა, დაიწერა წმიდად ესე სახარებად
განმანათლელი ყოვლისა სიფლისად კელითა გიორგი სუცისახთა“. მომ-
ყავს ჩამდგრიმე შედარება.

მარკოზ. 1, 2 : ბეჭდ.

ურბნა-

3ირსა	შენსი	შენსა	შენსა
1, 4	ნათლისცემასა	ნათლისლებასა	ნათლისლებასა
1, 5	ალუარებდეს.	აუარებდეს	აუარებდეს
1, 6	ველურსა	ველურისასა	ველურისასა
1, 21	კაფერნაუმად	კაფარნაუმდ	კაფარნაუმდ
	დ მეყვსეულად და შაბათსა	და შაბათსა	და შაბათსა
	დღესა შაბათსა დღესა	დღესა	დღესა
1, 33	რიერაუსოდენ	რიერაუს	რიერაუს
	აღსდგა	ოდენ ნიად	ოდენ ნიად
		აღდგა	აღდგა:
2, 1	დ შევიდა კვა- და შევიდა მყრ- და შევიდა მერ- ლად	მე	მე
	კაფერნაუმად	კაფარნაუმდ	კაფარნაუმდ
5, 1	მოვიდეს..	მოვიდა..	მოვიდა
	სოფელსა მას	სოფელსა მას	სოფელსა მას
	ლადარინ ელოთასა გერგესეველ-	გერგესეველ-	თასა..
			თასა..
8, 10	და მეყვსეულად და შევიდა..	და შევიდა..	და შევიდა..
	შევიდა..		
	ადგილთა დალ-	აღგილთა	ადგილთა
	მანუ-		
	თასათა	მაგდალაზისათა	მაგდალაზისათა

ლუკა 2, 33:

ქართ. ბეჭდ., ბერძ. ბეჭდ. და რესული; ათსებ და დედა მისი
ურბნ., ტიშენდ., № 18 და სოჭხ. მამა მისი და დედა მისი
ქართ. ადაშისა (897 წ. გადაწ.). მამა მისი და დედა მისი

აღარ განვაგრძობთ სიტყვას, შევნიშნავთ ხოლო, რომ № 18-ში უჩბნ. სახარების ტექსტს თითქმის ეთანასწორება მარკოზის, ლუკას და იოვანეს „თავის“ სახარებები, ხოლო მათეს „თავი“ უახლოვდება ბეჭდურის ტექსტს.

ზემოხსენებული ქორიდეთის ბერძნული სახარება კუთვნილებაა აჭარის მხრის სოფელ კორილეთისა, ხაილგანაც ძველ დროს ვე გაღმოუტანიათ სვანეთს და იქიდგან დიდებულს გელათს. აქედგან კი იგი ეპისკ. კირიონმა მოიტანა ტფილის და გაღმოსცა საქართველოს სამღვდელოების საკულ. მუზეუმს. ეს ხელნაწერი უკვე ჯეროვანად შესწავლილია გერმანელ მეცნიერის ზოდენისა და პროფ. ი. ე. ევსევის მიერ. ამათი გამოკვლევებითურთ მოსკოვის საიმპ. არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ფოტოტიპიურად გამოსცა კორიდეთის სახარების ერთი ნაწილი—მარკოზის „თავი“, სახარება.

ზოდენი, დიდი მცოდნე ახალ აღთქმის ვარიანტების ტექსტისა, კორიდეთის სახარებას სთვლის უმახლობელების მონათესავედ „ანტაბრიგენსის კოდექსისა“ და პოსკიერის გამოცემულ ტექსტისა, ამათ შემატოთებელ ვარიანტად; სამთავრენი კი მისივე აზრით, შეაღგენენ თავისებურ ერთეულს, რომელიც ყველაზე სწორეთ გაღმოგვცემს ტექსტს, დაღენილს კესარიაში 300 წლ. ახლოს პანფილისა და ევსევის მიერ. ჩვენი ხელნაწერი მათივე მოწმობით გადაწერილია VIII—IX საუკ.

მის აშიებზე მრავალი ქართული და ბერძნული წარწერებია. ბერძნულებში იხსენებიან იმპ. ნიკიფორე ფოკა (970—976), ანდრონიკე (1185—1194) და სხ. ქართ. მინაწერები შესრულებულია ძველის ძველ, ძნელად გასაგებ ხელით და, სამწუხაროდ, არც ერთს თარიღი არ უზის (*), უფრო ხშირად იხსენიება ბეშქენ, რომელიც თავისთავს ერისთავთერისთავად სთვლის. მომყავს ზოგიერთი.

გვ. 2: დაწერილი ეს თქნ ყოლა წმიდისა ლთის მშობელსა

*) შეიდიოდე მინაწერი გაღმოლებული აქვს ბროსესაც (*Mélanges Asiatiques*, 1872 წ., VI, გვ. 269—286), მაგრამ უმეტესი არეულ-დარეულად.

კორიდეთისასა მე ივანმან ჭაბა.. ამირსპასალარისა მირიანის-მან (!) მ(ასუამსა) ოდეს პატრონისა ჭემისა მინს.... ლისა წყა-ლობით მქონდა... (3=24). პატრონისა ჭემისა წყალობით დამიწეს ღობიერით ესე კორიდეთი: და ეს (?) ოთხთავი წაი-ღეს და ეკლესია... და მოვიყიდე და იმავ ეკლესიას დავდევ და შევსწირე მე ავგოლისძე წმიდასა ღუთის მშობელსა კო-რიდეთისასა ჭემისა სოლისათვის და ჭემისა შეილისა ბეშქენის სადლეგრძელოდა გავაკეთე მარიამობა დღე აღაპადა. რაზომ-ნიცა ხუცესნი იყვნენ ამასა წირვიდენ. სხუად ეკლესიას ჰკაზუ მიდეს ზეთით, სანთლით და ყავრით და სატრაპეზოსა ჭემისა ბეშქენს სტუცხლესა და გამარჯებასა ლოცვიდენ. შემიწი-რავს ყოვლით ფერით შეოვალადა და უცილებლადა და ვინც შეუცვალოს. შემცაცვლების რჯულისაგან: ქრისტიანობისა-გან .. მე ივანსა ჭემითა კელითა დამიწერია ნიშნად და ავ კე-ლად (?)

: 247:... ოდეს მიქაელ ხუცესნა ცოლი მოკოდა ტეო ხცისა ასოლი: მისი ზითევი დაწერეთ: ერთი კარი და ერთი ფუ-რი (!), ერთი დრაპეზი (!), ორი (!)...

გვ. 249: ესე ოთხთავი და ერთი სხუად განთვალი კორიდუ-ლი დაშლილი ვპოვ უამთა სიგრძოითა მე ერისთავთერისთავ-მან ბეშქენ შევჰკაზმე ესე ოთხთაეი: მოვჭედე ჯუარითა და ცუარითა: სახარებად მათი სადაგად შევმოსე. აწ ვინცა იყით-ხვიდეთ და იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა ლოცვასა მო-მისენეთ ცოდვილი ესე და ულირსი რომელსა დიდად შეკა-რების შენდობად დღესა მას განკითხვისასა.

გვ. 74. ბეშქენი თავის რძლის ხოაშაქის ხოიშნით კორიდეთ-ლების ხუცესთ განუკვეთს სატანუტროს, რათაო „ჩემისა. ა. ს (ძის თუ მმის?) წოლისა (=წულისა) ბექაისა სალოცავად და სულისა (=სულისა) ... ხარებად შეიმოსებოდით...“

76: ქ: ესე მე ბეშქენ ჩემითა კელითა დავწერე ესე რაი-ცა ჩემთა მშობელთა და ჩემ... მტკიცე იყო რომე სატანტ-როი გამოიშალა... და ვერ წირვიდეს სატანუტროს....

77: სახელითა ღუთისათა დაგიწერე ესე დაწერილი მე

მურვან თქუენ სრულად კორიდელთა თიხჩეთი დედისა ღუ-
თისადა შეეწირა მურვანს და აგათასა თქუენ და... მექონებო-
და ვითა გადასაკადი ესე ვერ იყო: ამისთვის არა გარდაგადე-
ვინე ფორცელი ამოკოეთილი იყო და არ....: ავიღე თქუენ-
გან სამსახური ორმოცდა... და ფორცელისა ამოკუეთილიცა
გაგიშოი და თიხოჩეთი მოგეც მამოლო... მამოლი თქუენი
ეგრევე გ: მამოლ... სა ერდგულებასა შიგან: ვინც შე(შა-
ლოს)... (78) და: პირითა ღრთისაითა: შემოგაგდე პელპელი-
სამოცდი, მაგრა ათი: გაგიშოი და ორმოცდაათისა: ბოტინა-
თისა: ავიღე: ჩემთვს: ჩემისა... და საკელისუფლოდ ყოვლად
ფერად (?) თიხჩეთს. ხოლო სისაკანელოსა (?) ნიგოზეთს შეეწირა
და განერიგა (?) აგრევე იყო: და ვინცდა რო... თქუენიმც
ბრალნი და ცოდვანი... კორიდეთისა ღუთის მშობელი და
რისხავს: ქ: ესე... კელითა: დამიწერია მე... 122 (72): ქ:
სახელითა: ლა. და შოამდგომელობითა: წსა ღის მშობელისაი-
თა: მე როვანე: მათე შელმან: დაგიწერე: მიქელ: ხუცესა:
კოირიკეს: ძესა: მას: უამსა: ოდეს: პარსმან: გამგებლად: იყო:
ბოლეშელ: ივან: წმიდასა: თანა: რომელ: მიწა: იყო: მისი:
ნახევარი: ნიგოზეთი: ვიყიდე: გიბელნიერენ: ღმერთმან: ამას:
ღაწერილისა: მოწამენი: არიან: ავაშანა: და ივანე: საკომელა-
შეილი (?)... და ნადირბერი: და პეტრე: და სრულად: კო-
რიდელნი: დაიწერა: ნადირისძეისა: კელითა: და ვინცა: ესე:
ღაწერილი: შალოს: ათი: ბოტინათი: ზღოს და ესე (?) გაგუ-
შალოს ასრევე იყოს: ქ: ერისთავთერისთაო ბეშენ ღუთის
სწორ მოწმენი შენგან(?)...

73: პიტირიმონ.: შემოსელი წიგნის მე მიქელისა და
სალომესი.

იქვე: ჩვენ მურვანსა და (ა)გათასა მოგვასენებია წდისჭ
ლთის მშობელისა კორიდეთისა და თიხჩერერი (=თიხჩიეური)
პარტაზტი: ღწ გომარჯონ: არავინ ოქციოს ესე ჩუენგან მკი-
ცე (!) არს თო (=თუ): ღრთა: ონდეს(=უნდეს).

ურბნისის სახარება:

ა) ურბნისის სახარების გადამწერის ზოგი ცთოშილება და მართლწერა:

მათე: მოვპლიდა (4, 23), მუგუთა (2, 74), წული=წული (7, 4); ხესა (ორჯელ, 7, 18), შემიწყნაროს (2-ჯერ, 10, 40), ცალე=ცალმდე (11, 23), ღლე (2-ჯერ; 12, 40), ბალი=ბრალი (14, 10), ფილატე=პილატე (27, 65), ერის (2-ჯერ; 28, 12).

შარქოზ: შეპრისნა (4, 39), გულსა (2-ჯერ; 6, 19), ლანკლითა=ლანკნითა (6, 25), შეცობანი=შეკოდებანი (11, 25).

დუქა: მთით კემრთა (1, 65), ბთლელმდე (2, 15), მჯდოდომარე (2, 46), თვისისისად (7, 12), ცისათა (2-ჯერ; 8, 5), მუშქი=მუშაქი (10,), დედაკაკაცმან (13, 21), ინაჟიდგმიდგმიდენ (13, 29), განკუნა (14, 11), იხილალა (16, 23), მნებანი=მცნებანი (18, 20), რასასა (23, 34).

ითანე: დაინა=დაიძინა (11, 12), მახლობებელად (11, 54), მოგაკაკსენოს (14, 26), მოწაფაფც (15, 8).

ბ) ადგილობრივ კილოის და სხ. ნიმუშები:

მათე: შიდა=შინა (7, 3; 4, 4); უბიწო—უმანკო (10, 6), დაიჭუხნეს—დაიწუხნეს, ლალატყო=ლალალტყო, ბაგითა—პირითა (15, 8), ჯერარს—ეგულების, მაშინ—მას უამსა, მივედით—წარვედით, კურნაქსა—ბურნაკსა (23, 24), მსახურთა—მონათა, საწუთრო—საწუთო, შებორკილებად—შეკვრად, ნეტარას=ნეტარარს (24, 45), შეთლსნეს=შეთხზნეს (27, 29), ნავლლითა—ნაღვლითა (27, 24), შევდეს (27, 53), ჩვენ მეძინა=გვეძინა (28, 13).

მარგ.: სახსა=სახლსა (2, 1), ოტევა=უტევა (5, 37), შოვა=შუვა (6, 47), განრეიცვანა (მეგრ. ფორ.)=განრაიცვანა (8, 32), გიწესს (მეგრ. ფორ.)=გიძესს, გიწოდებს (10, 49).

ღუგა: ელისაბეთს (1, 41), ალილვად=ახილვად (4, 18),
 ალილნა=ალიხილნა (6, 20), შიდა (6, 42), მია-
 ხნდა=მიახლდა (7, 2), ჭადი (8, 55), არქოთ (10,
 10), ზაქარად=ზაქარია (10, 51), მიეტე=მიეტეოს
 (12, 10), მაუკლებელი (კახ.)=მაუკლებელი (12,
 33), გამოცანდეთ (12, 56), ნო=ნუ (13, 14),
 უკრად=ოხრად (13, 35), გლოცევ=გოხოვ (14,
 18), ღურნი=ღორნი (15, 16), ცრო არს—ცრუ
 არს (16, 10), ყივინვე (16, 16), ალიფლუერ (17,
 6), წუწუბი—წუნწუბა (17, 29), პოოსმეა (სვან.
 ფორ.)=მიპოვისა? (18, 8), მისართ=მიმართ (18,
 7; იგივე ირვან. 12, 37), ადგომისანი (20, 36).
 ირვან.: ალილვად (10, 21), იქცეულა (10, 23), იყნენ (17,
 21), მიცით მე=მიცნობთ (14, 9), განსთქდა (21, 11).

გ) სახელები:

ურბნ.	ტიშენდ.	სომხ.
იესუ	იესუს	ჰისუს
ქრისტო	ხრისტოს	ქრისტოს
აბრაჟამ	აბრაამ	აბრაჟამ (ასურ. აბრაჰამ)
ისაკ (ისააკ)	ისააკ	ისაპაკ (ისხაკ)
ნაასონ (ნაასონ)	ნაასსონ	ნაასსონ
სალმოვნ	სალმონ	სალმონ
იესე	იესსე	იესსე
სოლომონ	სოლომონ	სოლომონ
სალათიელ	სალათიელ	სალათიელ
ელიაკიმ	ელიაკიმ	ჰელიაკიმ
აქიზ (აქიმ)	ახიმ	აქინ
ელიოვდ	ელიოვდ	ჰელიუდ
ელიაზარ	ელეაზარ	ჰელიაზარ
იოსებ (იოსეფ)	იოსეფ	ჰოვსეფ
პეტრე	პეტროს	ჰეტროს
პავლე	პავლოს	პოლოს
ბეთლემი	ბეთლეემ	ბეთლეემე

არქელაოზ	არხელაოს	არქელაოს.
კაფარნაუმ	კაფარნაუმ	კაფარნაუმ
იაკობი		იაკუბ
მოსეს	მოსეს	მოსეს
	Moises	
ელია	ელიას	ჰელია
მარიამ მაგდანელი	მარიამ მაგდალენე	მარიამ მაგდალენაცი
ეოსიტოს	იოსიტოს	ჰოვსე
ეკლესია	ეკელესია	ეკელეცი

ღ) ცვლილება აზრის მხრივ.

მათეს სახარება.

3,7: ურბნ. ტიშენდ. სომხ.

ფარისეველნი და ტონ ფარისეონ სადუკეცუც
სადუკეცულნი კე სადდუკეონ ეფარისეცუც

8,13 ურბნ.

დაბეჭდილის მუხლის ბო-	ასევეა	სომხურში
ლოს ჩამატებულია სიტ-	კორიდეთის	არის მხოლოდ
ყვები: „და ვითარცა მო-	ბერძნულ	ის, რაც ქარ-
ვიდა ასისთავი იგი სახედ	სახარებაში	თულ ბეჭდურ
თვალი, პოვა მონად იგი მი-		ში.
სი განკურნებული მას უამ-		
სა შინა“.		

21,28—31

ქართ. ბეჭდ. და ბერძ. ბეჭდ. ურბნ., ტიშენდ. და კორიდ.

კაცა ვისმე ესხნეს ორ ძე. (იგივე და მერე):

მოვიდა პირველისა მის და თქვა:

შვილო წარვედ დღეს და იქმო-
დე ვენახსა ჩემსა.

ხოლო მან მიუგო და რქვა: ხოლო მან მიუგო და ჰრ-
არა მნებავს. ხოლო უკანასკნელ ქუა: წარვიდე უფალო და
შეინანა და წარვიდა. არა წარვიდა.

და მოუხდა მეორესა მის და მოვიდა მეორისა მის
რქვა აგრეთვე, ხოლო მან მიუ- და ჰრქუა ეგრევე. ხოლო

გო და ოქვა: წარვიდე უფალო
და არა წარვიდა. მან მიუგო და ჰრექუა: არა
მნებავს, არა წარვიდე, ხო
ლო უკუანახსენელ შეინანა
და წარვიდა.

ვინ ორთა ამათგანმან ჰყო ნე-
ბა მამისა თვისისა? ოქვეს მას: მამისა თვისისა? ჰრექუეს მას:
პირველმან მან. უკუანახსენელმან. მან.

25,1: ურბნ. კორიდ.

სიძისა და სძლისა ნიმფიუ კე ნიმფის.

ქართ. ბეჭდ., ტიშენდ. და ბერძნ. ბეჭდურში „და-სძლი-
სა“ არ არის.

25,3	ბეჭდ.	ურბნ.	ტიშენ.	სომხ.
	ლამპარნი	სანთელნი	ლამპალას	ლაპტერონ
„ 4	ლამპართა	სანთელთა	ლამპალონ	ლაპტერს
„ 7	ლამპარნი	სანთელნი	ლამპალას	ლაპტერს
„ 8	ლამპარნი	სანთელნი	ლამპალეს	ლაპტერქს
27,65	ბეჭდ.	ურბნ.	ტიშენდ.	სომხ.
	პილატე...	ფილატე	პილატოს	პილატოს
	დასი	დასისაგანი	კუსტოლიან	ზორაյანნ
17,27	ბეჭდ.	ურბნ.	ტიშენ.	სომხ.
	სტატირი	სასწური	სტატირ	სატერ
5,26	ბეჭდ.	ურბნ.	ტიშენ.	სომხ.
	უკანასენელი	დანგისა		
	კოდრატი	კოტორი	კოდრანტინ	ნაქარაკოტ
22,19	ღრაჰეანი	ღრაჰეანი იგი	ნომისმა	ღაჰეკან
	იგი ხარესა	კინსონისა ხარე.	ტუ კინსუ ჰარეკინ	
21,39	ურბნ.	და კორიდ:	მოკლეს და განაგდეს გარე ვენაკისა მისგან	
	ბეჭდ.	და სომხ.:	განიყვანეს გარეშე ვენახისა მის და	
	მოკლეს			
22,30	ურბნ.	და ტიშენდ.:	ანგელოზი. ქართ. ბეჭდ., ბერძნ.	
	ბეჭდ.	და სომხერი:	ანგელოზი ღვთისანი.	
22,45	ურბნ.	და ტიშენდ.:	დავით უფლით ხადის. ქართ. ბეჭდ.	
	და კორიდ.:	დავით სულითა.		

- 23,29 ურბნ.: მოსც სენებელსა (ტიშენლუ უნემა).: ბეჭდ. ქართ
სამარებსა.
- 27,2 ბეჭდ. ურბნ.: ტიშენდ. კორიდ. სომხ. ბეჭდ. ბერძნ.
პონტოელსა პონტიო პონტაცო პონტიო
პილატეს პილატო პილატო. პილატოსი პილატო.
მარკოზის სახარება.
- 1,1 ქართ. ბეჭდ., ურბნ., ტიშენდ. და კორიდეთისაში: „ვი-
თარცა წერილარს ესაია წინასწარმეტყუელსა. სომხურ.
და ბერძნ. ბეჭდურში გამოტოვებულია ესაია და დატო-
ვებულია მარტო „პროფიტეს“, „მარქარეს“.
- 1,40 ურბნ., ტიშენდ., კორიდ. და ბერძნ. ბეჭდ.: განკურ-
ნებად — კათარისე, სომხ. და ქართ. ბეჭდ. განწმედად —
სრბელ.
- 3,17 ქართ. ბანერგეს; ბანერეგეს, ტიშენდ. ბოანერგეს, სომხ.
ბანერეგეს.
- 4,15 ურბნ. და ტიშენდ. „სიტყუად იგი დათესული მათდა მი-
მართ“. კორიდ., ბერძნ. ბეჭდ. და სომხურში „დათე-
სული გულთა მათთა“ („ესპარმენონ ენ ტეს კარდიეს“;
„სერმანეალ ი სირცს ნოკა“). ქართ. ბეჭდ. სიტყვა „და-
თესული“ არ არის.
- 5,1 ურბნ., კორიდ. და სომხურში ქუეყანასა გერგესუეგდთა-
სა; ტიშენდ. „ხორან ტონ გერასინონ“; ქართ. ბეჭდ. და
ბერძნ. ბეჭდ. „ქვეყანასა გადარინელთასა“ („ხორან ტონ
გადარინონ“).
- 7,4 ქართ. ბეჭდ.. ურბნ. კორიდ. სომხ:
- | | | | |
|---------------|----------------|------------|------------|
| განრცხა | განრცხად | ბაპტისმუს | მკრტუთიუნს |
| სასვემელებისა | სტამნებისად | პოტირიონ | ბაძაკაც |
| და სტამნებისა | და სამუსლისად | კე ქსესტონ | ე სტომანაც |
| და ქვაბებისა | და ქვაბებისად | კე ხალკიონ | ე პლნდეაც |
| და ცხელრებისა | და ცხელრებისად | კე კლინონ | ე შაჰვაც |

- 7,8 ურბნ. და ტიშენდ. ქართ. ბეჭდ. კორიდეტისაში სომხურსა
და დაგიტევებიეს „...”
მცნებად ლურთისად „განრცხი-“ და ბერძნ.
და გიპყრიეს მო- (ესეც და მერე) ბა და „კაც“ ბეჭდ „გეპ-“ ბერძნ.
ძლურებად კაცთად განრცხა სასმე თად“-თ თა-
ლებისა და სტა ვდება. თულ ბეჭ-
მნებისა და სხვა- დნურში.
- სა ესე ვითარსა
მრავალსა პყოფთ
- 7,31 ურბნ. ტიშენდ. და კორიდ. სომხ.
საზღვართა ტონ ორიონ საჭმანაცნ
ათქალაქებისათა დეკაპოლეოს ი დეკაპოლის
- 8,10 ბეჭდ. ურბნ. ტიშენდ. ბერძნ. ბეჭდ. სომხ.
დალმანუთა მაგდალა მაგდალა დალმანუთა დალმანუნა
- 8,8 ფსკრიდი, 8,20 სუკრიდი, ტიშენდ. სპკრიდ
- 9,4 ქართ. ბეჭდ. ურბ. ტიშენდ., კორიდ. სომხ.
მოსე ილიას- ელია მოსეს- ელიას სინ მოხ- ელია მოვ-
თანა თანა სი=მოსი(Mosei) სესივ
- 10,25 ბეჭდ. ურბნ.
უადვილესს არს აქლემი უადვილეს არს მანქანისა სა-
კურელსა ნემისისასა გან- ბელი კურელსა ნემისისასა გან-
სლეად, ვიდრე... სლეად, ვიდრე...
- 11, 9—10
ბეჭდ. ურბნ. კორიდ.
ოსანა შსანა მაღალთა შინა ოსანა ტო იპსისტო
კურთხეულარს ...
მომავალი ...
სახელითა უფლისათა ...
კურთხეულარს
მოსლვა მეუფებისა მოსლვად მეუფებისად
სახელითა უფლისათა დავითის მამისა
დავითის მამისა ჩუქნისა მშვიდობად
ჩვენისა. ოსანა ზეცითა და დიდებად
მაღალთა შინა, მაღალთა შინა.

12,14

ურბნ. ციდაბ კორიდ. იპონ უნ იმინ
მარქუ ჩუენ იპონ უნ იმინ
ჯერარსა ჩუენდა ექსესტინ დუნე
ხარკისა მიცემად ეპი კეფალეონ
კეშსარსა?

ტიშენდ. და ქართ. ბეჭდ.
არ არის „მარქუ ჩუენ“. ტიშენდ. კეფალეონ-ის
მაგიერ არის „კენსონ“,
სომხურში „ჰარკს“
(„ჰარკს ტალ კადესერ“)

13,6 ურბნ.

მე ვარ ქრისტი ეგო იმი ო
ხრისტოს

სომხ.

ეს იეზ
ქრისტოს

ტიშენდ., ქართ. ბეჭდ. და ბერძნ. ბეჭდ. გამოტოვებუ-
ლია „ქრისტე“.

14,22 ურბნ., ტიშენდ. და კორიდ. გამოტოვებულია სიტყვე-
ბი: „და ქამეთ, რამეთუ“.

14,45 ურბნ., ტიშენდ. და კორიდ. გამოტოვებულია: „და მეყსეულად
მოვიდა და ჰერქუ მას: გიხარიდენ მოძღვარ“.

(ბერძნულში: რავვი) ქართ. ბეჭდ., ბერძნ. ბეჭდ. და
სომხ.: „რაბბი, რაბბი“.

15,7 ბარაბა მელომეთა (ბეჭდ. მეშფოთეთა) თანა კრული.

15,34 ბეჭდ. და ურბნ. ტიშენდ. კორიდ. სომხ.

ელოი ელოი ლა- ელო ელო ელი ელი ელი
შა საბაკთანი ლამა საბახ- ლამა სა- ლამა საბაქ-
თანი. ბახთანი თანი

15,40

ბეჭდურ. ურბნ. ტიშენდ. და კორიდ. ბერძნ. ბეჭდ. სომხ.
იოსეს დე- იოსეტო- იოსიტოს მი- იოსე მი- ჰოვსეად
დად სის დედად ტირ ტირ მარნ

15,47 იოსესი(ურ.) იოსტოსისი(ტ.) იოსეტოს იოსე ჰოვსეად
ლუკას სახარება.

4,24 ურბნ. ტიშენდ. კორიდ. სომხ.
ამინ, ამენ *). ამენ ამინ (amin). ამენ.

*) ბერძნ. ასოს ერას გამოთქმიში ქართველები მისდევენ ზან რე-

- 4,24 ბეჭდ. ურბნ. ტიშენ. და კორიდ. სომხ. მამულისა სოფელისა პატრიდი ქალაქი (=ქალაქისა)
- 5,34 ბეჭდ. უმჯობესარს, ურბნ. უტკბილესარს, კორიდ. ხრის-ტოტეროს ესტინ, ტიშენ. ხრისტოს ესტინ, სომხ. ქალცრა-გუდნ ე.
- 10,1 ბეჭდ. ურბნ. ტიშენდ. სომხ. 70-ნი 72-ნი 70-ნი 72-ნი
- 10,17 70-ნი 72-ნი 70-ნი 72-ნი
- 11,51 ზაქარიასა, ზაქარავსა ზახარიუ ზაქარეად
ძისა ბარაქისა
- 22,60 ბეჭდ. ურბნ. ტიშენ. სომხ. ქათამან ქათამი ეფონესენ ხოსეცავ
იყოვლა ჟივა ალეკტორ ჰევ
- ოთანეს სახარება.
- 4,18 ურბნ. ღმერთმან, ტიშენდ. თეოს, ქართ. ბეჭდ. ბე-
მან, კორიდ. და ბერძ. ბეჭდ. ვიოს, სომხ. ორ-
დი (ბემან)
- 3,3 ქართ. ბეჭდ. ცათად, ურბნ., ტიშენდი კორ., ბერძ.
ბეჭდ. და სომხ.—ღუთისახ.
- 3,13 ურბნ. და ტიშენდ. არ არის: „რომელ არს ზეცათაში-
ნა“, გარნა არის ქართ. ბეჭდ., ბერძ. ბეჭდ. და სომხურში.
3) ურბნისის სახარებაში არ არის:
- შათე; 10,8: მკუდართა აღალგინებდით
- „ 10,23: შემდეგ სიტუაციისა მოივლტოდეთ თქუენ სხუად
„და მიერდა თუ გდევნიდენ თქუენ სხუად კერძ“
- „ 15,33: ვითარცა განძლა ერი ესოლდენი
- „ 17, 6: და... და შეეშინა ფრიად
- „ 18,11: (არ არის მთელი მუხლი. აგრეთვე ტიშენდორ-
ფისაშიაც)

იხლინის გამოთქმას, ხან ერაზმისას. ეტათი იწერება. სახელები: იოსეფ,
იოსეს, სემ, რესად, ელია, ესაგა და სს. ბერძნ. ai-საც გამოსთქვამენ ვით
ეს: Mainan—მენან. (ურბნ. საკ. ლუკ. 7:3).

- მათე, 20, 7: და რა იგი იყოს სამართალი მიიღოთ
„ 22,34: და ეტყოდა (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 25,13: რომელსა შინა ხე კაცისა მოვიდეს (აგრეთვე ტიშენდ.).
„ „ 16;22: ტალანტი
„ 25,30 და ამას რა იტყოდა, ხმა ჰყო რომელსა ასენ
„ კურნი სმენად, ისმინენ (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 27,19 მას არა... კაცისა (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 28, 9 და ვითარ იგი მოვიდოდეს თხრობად მოწაფეთა
მისთა (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 28,18 ვითარება მომავლინა მე მამან, მეც წარგავ-
ლინებ თქვენ (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 28,20 ამინ (აგრეთვე ტიშენდ.)
პარე., 2, 7: ვითარმედ ესე გმობასა იტყვის
„ 3,15: განკურნებად უძლურთა და (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 4,12: ცოდვა მათი (აგრეთვე ტიშენდ.).
„ 6,11 ამინდაშ პრლომზის (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 6,23 და ეფუცა მას ვდ რაცა ითხოვო მიგცე შენ
„ 11,26. (მჟღლი მუხლი; აგრეთვე ტიშენდ.)
„ 13, 9 ხოლო ეკრძალენიდ თქუენ თავის თქუენთა რა-
მეთუ
„ 13,11 ნუცა იწურთით
„ 13,18 სივლტოლად თქუენ (უფლეთვე ტიშენდ.)
„ 13,26 ღრუბელთა ზეჭა
„ 14,22 და კამეთ, ჩამეთუ (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 14,65 და დაბურვად პარსა მისსა.
„ 14,70 და სიტყუცა შენი გვმდეგაჩინებს (აგრეთვე ტი-
შენდ.)
ლუკა, 3,33: იორამ (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 4, 8: წარვედ მარჯლუკუნ ჩემგან ეშმაკო (აგრეთვე
ტიშენდ.)
„ 6,16: რომელსა უწოდა მოშურნე
„ 7,28: ნათლისმცემელისა (აგრეთვე ტიშენდ.)

- დაქა, 7,31: ხოლო სთქვა უფალმან (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 7,46: ფერებთა ჩემთა
„ 9,1 იქსო... მოწაფეთა თვისთა (აგრეთვე ტიშ.)
„ 9,10 უდაბნოსა (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 9,54: ვითარება ილია ჰყო (აგრეთვე ტიშ.)
9,55—56: დარჩენილი მხოლოდ: მიექცა იქსოვ და შეპრი-
სხნა მათ და წარვიდეს სხუაბა დაბასა (აგრეთვე
ტიშენდ.)
- 10,22: და მიექცა მოწაფეთა და პრევა (აგრეთვე ტიშენდ.)
11,24 ვა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, არამედ მი-
კანენ ჩუენ ბოროტისაგან (ტიშენდ. შემოკლებულია)
11,44 მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო... და არა
იციან (აგრეთვე ტიშენდ. „და არა იციან-ს გარდა)
12,32 ზეცათამან...
14,24 რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ. და მცირედნი
რჩეულ
17,36 მთელი მუხლი (აგრეთვე ტიშენდ.)
24,53 მარადის აქებდეს. ამინ (აგრეთვე ტიშენდ.)
თანე: 1,27 რომელი პირველ ჩემსა იყო (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 3,13 რომელი არს ზეცათა შინა (აგრეთვე ტიშენდ.)
„ 3,15 ყოველსა... არა წარწყმდეს არამედ (უკანასკნე-
ლი სამი სიტყვა არ არის ტიშენდ.)
3,18 მხოლოდშობილისა
4,31 და ვიდრე იგი მოვიდოდეს (აგრეთვე ტიშენდ.)
4,42 ქრისტე (აგრეთვე ტიშენდ.)
4,43 და წარვიდა (აგრეთვე ტიშენდ.)
5, 4 (მთელი მუხლი. აგრეთვე ტიშენდ.)
6,11 მოწაფეთა და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას (აგ-
რეთვე ტიშენდ.)
6,14 იქსუ (აგრეთვე ტიშენდ.)
6,42 სადა იყო დავით
7,53 (მთელი მუხლი. აგრეთვე ტიშენდ. და კორიდე-
თოსაშიაც)

- 8,1—11 (არ არის თერთმეტივე მუხლი. აგრეთვე ტიშენდ და კორიცითისაშიაც)
- 8,15 ხოლო ძებან დაიმკიდროს უკუნისამდე
- 9,11 საბანელსა მას (აგრეთვე ტიშენდ. და კორიდ.)
- 10,26 ვითარცა გაქვს თქენ (აგრეთვე ტიშენდ.).
- 11, 6 იესუ (აგრეთვე ტიშენდ.)
- 11,39 დამან მის მკვდრისამან (აგრეთვე ტიშენდ.)
- 11,41 სადა მდებარე იყო მკვდარი იგი (აგრეთვე ტიშ.)
- 14,14 (მთელი მუხლი)
- 16,16 რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა (აგრეთვე ტიშ.)
- 17,12 სოფელსა შინა (აგრეთვე ტიშენდ.)
- 19,30 და გარდამოიხვნენ
- 20,21 იესუ კვალად
- 21,18 სხვამან შეგარტყას შენ და
- 21,20 მისდევდა რა
- 21,25 ამენ (აგრეთვე ტიშენდ..)

ჯერჯერობით ამით ვათავებთ ურბნისის სახარების განხილვას. უფრო სრულ მასალას მის შესახებ წარმოვადგენთ მაშინ, როდესაც გავიცნობთ ქსნის სახარებას, აგრეთვე აღიშის და სხ. ძველ ქართ. სახარებებს და შევუდარებთ მათ ძველ სომხურ და ლათინურ გარიანტებს და აგრეთვე ასურულს მე-IX—X საუკ. ეტრატზე დაწერილ სახარებას, რომელიც ეკუთვნის ერთს ჩვენს მეგობარს. ჩვენ არ გვსურს სინამდვილეს წინ გაუცურბინოთ, მ. ხორენაცისა არ იყოს—თეორიის შესწავლამდე ლეთისმეტყველობა ვიწყოთ, ბლობა და მცირე საბუთების მოუგროვებლად რაიმე გადაჭრილ აზრს დავადგეთ ურბნისის სახარების დელნის შესახებ. აქ მხოლოდ მივაჭუვთ მკითხველის ყურადღებას ამ სახარების ერთს მუხლს (მათე, 5,45), რომლითაც თითქო უსარგებლნია რუსთაველს. იგი იკითხება ასრე: „მზე მისი (ზენაარ მამისა) მიეფინის ბოროტა ზედა და კეთილთა, და აწვმის მართალთა ზედა და ცოდვილთა“. იგივე აზრი რუსთაველის გამოხატულობით: ჩადგან „ვარდთა და

ნეხვთა მზე სწორედ მოეფიქტის, დიდთა და წვრილთა შეა-
ლობა შენცა ნუ მოგეწყინების“.

წერილის დასასრულს ჩემ ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ
გულითადი მადლობა ვუძღვნა ღრმადპატივცემულს და დამსა-
ხურებულს პროფეს. ოლ. სოლ. ხახანაშვილს, რომლის წინა-
დადებით მოსკოვის საიმპ. საარქეოლოგიო საზოგადოებამ მო-
მანდო ურბნისის კოდექსის გადმოწერა ხსენებულ საზოგადო-
ების ერთერთ გამოცემაში დასაბეჭდად.

მ. ჯანაშვილი.

„ნაშრომის“ ჰორგორამმა:

ა. ორიგინალური და თარგმნილი წერილები, მოთხრო-
ბანი, ლექსები.

ბ. ბიოგრაფიები და მონოგრაფიები.

გ. არქეოლოგიური ექსკურსიები, გამოკვლევანი და შე-
რიუჩვები

დ. ძველ-მწიგნობრული ტექსტები და საზოგადოდ ძველ
მწერლების ნაწარმოებნი

ე. ლექსიკოგრაფია (ძველი ლექსიკონები და საზოგადოდ
სალექსიკონ მასალები)

ვ. ბიბლიოგრაფია და კრიტიკა

ზ. სარედაქციო პასუხი

ც. განცხადებანი

იმედია საზოგადოება კვლავაც არ მოგვაკლებს დახმარე-
ბას!